

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროცესებისა და აპარატების და ზოგადი  
ქიმიური ტექნოლოგიის კათედრა  
დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე  
ოქმი №13 18.04.2007

## მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის

საგანში: პურის, მაკარონისა და საკონდიტრო

წარმოების ტექნოლოგია

სპეციალობა: პურის, მაკარონის და საკონდიტრო

წარმოების ტექნოლოგია

შემსრულებელი: რ. ხუციშვილი

მ. შენგელიძე

## ს ა რ ჩ ე გ ი

### თემა I . კარამელის წარმოება

ძირითადი უბნები  კარამელის წარმოების ტექნოლოგიური ნაზისა, სადაც ხდება კონტროლი -----	9
მშრალი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა საკონდიტო ნაწარმში -----	11
სინესტის განსაზღვრა საკონდიტო ნაწარმში -----	12
კარამელის მასის სინესტის განსაზღვრა ი.ს. ლურიეს ექსპრეს-მეთოდით -----	16
სინესტის განსაზღვრა ჩიჟოფის ხელსაწყოთი -----	18
რედუცირებული (ინგერტული) ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა -----	20
კარამელის მასის განთხევის კოეფიციენტის განსაზღვრა -----	23
მუავიანობის განსაზღვრა ტიტრული მეთოდით -----	24
კარამელის მასისა და გულსართის თანაფარდობის განსაზღვრა გულ-სართიან კარამელში -----	25
შაქარ-ბადაგის სირთფისა და კარამელის მომზადება -----	26
შაქარ-ინგერტული სირთფისა და კარამელის მომზადება -----	27

### თემა II. რბილი კამფეტისა და ირისის წარმოება

ძირითადი უბნები  რბილი კამფეტის და ირისის წარმოების ტექნოლოგიური ბაზის, სადაც ხდება კონტროლი -----	29
შოკოლადის ჭიქურის სიბლანტის განსაზღვრა -----	32
ჭიქურისა და კამფეტის რაოდენობრივი თანაფარდობა შოკოლადით მოჭიქულ კამფეტში -----	33

### თემა III. ხილ-გენეროვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

ძირითადი უბნები მარმელადის, პასტილისა და ზეფირის	
წარმოებისა, სადაც ხდება კონტროლი	35
გაშლისა და ატმის პიურეს მაჟელირებელი	
თვისებების განსაზღვრა	37
მარმელადის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა	38
მარმელადის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	39
გაშლის ფორმიანი მარმელადის მომზადება	
(ბუნებრივი მარმელადი)	40
ჟელეს (ხელოვნური) მარმელადის მომზადება	41
პასტილისა და ზეფირის სიმკვრივის განსაზღვრა	43

### თემა IV. შოკოლადისა და კაკაოს ფხვნილის წარმოება

ძირითადი უბნები შოკოლადისა და კაკაოს ფხვნილის წარმოებისა,	
სადაც ხდება კონტროლი	45
შოკოლადის დაწილადების ხარისხის დადგენა	46
გამათხევადებლების განთხევადების უნარის განსაზღვრა	46
შოკოლადის ცხიმის დნობის ტემპერატურის განსაზღვრა	48
შოკოლადის ცხიმის გამყარების ტემპერატურის განსაზღვრა	48
კაკაოს ფხვნილის მუავიანობის განსაზღვრა	49
შაქრების განსაზღვრა ობიექტი	50
შაქრების განსაზღვრა ონგერსის შემდეგ	51
შაქრების განსაზღვრა ონგერსიამდე	52

## **თავი V. ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი**

ძირითადი უბნები ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოებისა,	
სადაც ხდება კონტროლი -----	53
წებოგგარას განსაზღვრა ხორბლის ფქვილში -----	55
მარილის რაოდენობის განსაზღვრა მარილიან კარაქში -----	56
მარილის რაოდენობის განსაზღვრა ნამცხვარში -----	57
გალეტის გაჯირჯგების კოეფიციენტის განსაზღვრა-----	57
ნამცხვრის, გალეტის სიმკგრივის განსაზღვრა -----	58
სინესტისა და მშრალი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა ---	60
მუაგიანობის განსაზღვრა ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში -----	61
ტენიანობის განსაზღვრა ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში -----	62

## **თემა VI მაკარონის წარმოება**

მაკარონის წარმოების ძირითადი უბნები, სადაც ხდება	
კონტროლი -----	62
მაკარონის ნაწარმის ორგანოლეპტიკური შეფასება -----	63
სინჯის მომზადება ფიზიკო-ქიმიური ანალიზისათვის -----	63
სინჯის განსაზღვრა -----	63
მაკარონის მუაგიანობის განსაზღვრა -----	64
მაკარონის თვისებების შეფასება ხარშვისას -----	64
მაკარონის სიმტკიცის განსაზღვრა -----	66
ნატეხების, ნაფხვენებისა და დეფორმირებული ნაწარმის	
რაოდენობის განსაზღვრა -----	68

## **თემა VII. პურის წარმოება**

მირითადი უბნები პურის წარმოებისა, სადაც ხდება კონტროლი	69
ფქვილის აირწარმოქმნის უნარის განსაზღვრა	70
წებოგვარას რაოდენობის განსაზღვრა	72
წებოგვარას ხარისხის ორგანოლებტიკური შეფასება	
სტანდარტული მეთოდით	73
წებოგვარას თვისებების შეფასება მისი განთხევადების მიხედვით	74
ფქვილის „ძალის“ განსაზღვრა ცომის განთხევადების კონტურის მიხედვით	75
ხორბლის ფქვილის ბურცხობის უნარიანობის განსაზღვრა საცდელი ცხობით (სტანდარტული მეთოდით)	76
ფქვილის მოცულობითი გამოსაფალი (100 გრამი ფქვილისაგან)	78
ძირის პურისათვის ფორმამედევობის განსაზღვრა	79
პურის ხარისხის ორგანოლებტიკური შეფასება	80
ცომის ამწევი ძალით საფუარის ამწევი ძალის დადგენა (სტანდარტული მეთოდით)	80
საფუარის ამწევი ძალის განსაზღვრა ცომის ბურთულის წყლის ზედაპირზე ამოტიგტიგების სიჩქარის მიხედვით	80
საფუარის სინესტის განსაზღვრა	81
საფუარის მუავიანობის განსაზღვრა	81
საფუარის მაღალზური აქტიგობის განსაზღვრა	82
დაწესილი საფუარის ოსმოგრძნობელობის დადგენა	86
ჭვავის ფქვილის ავტოლიტური აქტიობის განსაზღვრა ექსპრეს-ცხობით	83
ჭვავის გაცრილი და ქატოიანი ფქვილისათვის ბურცხობის უნარიანობის განსაზღვრა საცდელი ლაბორატორიული ცხობით	85
პურის ხარისხის განსაზღვრა ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით	88
ნახევარფაბრიკატების შეფასება	89
<b>ექსპერიმენტი 1. ცომის დუღილისას ტემპერატურის გაფლენა ცომისა და პურის ხარისხზე</b>	90
<b>ექსპერიმენტი 2. ცომის ტემპერატურის გაფლენა აირწარმოქმნის უნარზე</b>	90

<b>ექსპერიმენტი 3. დაწესებილი საფუარის რაოდენობის გაფლენა ცომზე და მზა პროდუქციაზე -----</b>	<b>91</b>
<b>ექსპერიმენტი 4. დაწესებილი საფუარის რაოდენობის გაფლენა აირწარმოქმნის უნარზე -----</b>	<b>91</b>
<b>ექსპერიმენტი 5. მარილის რაოდენობის გაფლენა ცომისა და მზა ნაწარმის ხარისხზე -----</b>	<b>91</b>
<b>ექსპერიმენტი 6. მარილის რაოდენობის გაფლენა ცომის აირწარმოქმნის უნარზე -----</b>	<b>92</b>
<b>ექსპერიმენტი 7. ცომის დუღილის ხანგრძლიობის გაფლენა ცომზე და მზა ნაწარმზე -----</b>	<b>92</b>
<b>ექსპერიმენტი 8. ცომის დუღილის ხანგრძლიობის გაფლენა ცომის აირწარმოქმნის უნარზე -----</b>	<b>92</b>
<b>ლიტერატურა -----</b>	<b>7</b>

## Л о б а т о р и я

### 1. Б.В. КАФКА, И.С. ПУРЬЕ.

Технологический контроль кондитерского производства, Изд.  
Пищевая промышленность , Москва, 1967.

А.Ф. Зверева, З.С. Немцова, Н.М. Волкова, технология и техно-  
химический контроль хлебо-пекарного производства, Москва,  
легкая и пищевая промышленность , 1983г.

### 2. Лабораторный практикум по технологий хлебопекарного производства , Москва . „ легкая и пищевая промышленность , 1982г.

### 3. А.А. Виноградова, Н.А. Евницкая, А.И, Островский .....

Лабораторный практикум по общей технологии Пищевых  
веществъ, „ пищевая промышленность, Москва,1968г

საკონდიტორო წარმოების ძირითად საამქროში მოხვედრამდე ძირითადი და დამხმარე ნედლეული წარმოების ცენტრალურ ლაბორატორიაში გადიან ყოველმხრივ ორგანოლეპტიკურ, ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემოწმებას. იგივე ლაბორატორია პერიოდულად ახდენს მზა ნაწარმის ხარისხის ცონტროლს. მუდმივი ტექნო-ქიმიური კონტროლი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის ნახევარფაბრიკატებზე და მზა ნაწარმზე შედის საამქროს ლაბორატორიის ფუნქციებში.

## თემა I. კარამელის წარმოება

ძირითადი უბნები კარამელის წარმოების ტექნოლოგიური ხაზისა, სადაც ხდება კონტროლი:

კონტროლის ობიექტები	კონტროლის სისტემები	კონტროლის სახეები
1	2	3
ნედლეული და დამხმარე მასალები, რომელიც შემოდის ძირითად საქონელში	მოწმდება ყოველი შემთხველი პარტია	ა) გემოგნებითი თვისებები ბ) გარე, მექანიკური მინარევების შემცველობა შაქარში, ხილ-გენკროფან პიურეში. გ) მშრალი ნივთიერებების შემცველობა.
კარამელის სირთფის ხარშვა: შაქარ-ბადაგის სირთფი	3-4 ჯერ ცვლაში	ა) მშრალი ნივთ. შემცველობა ბ) რედუც. ნივთ.-ის შემცველობა
ინგერტული სირთფი  კარამელის სირთფი ინგერტზე ბადაგის შემცველობის შემცირებით.	ყოველი მომზადებული პარტია  8-10 ჯერ ცვლაში	ა) მშრალი ნივთ. შემცვ. ბ) რედუც. ნივთ. შემცვ. ა) მშრალი ნივთ. შემცვ. ბ) რედუც. ნივთ. შემცვ.
კარამელის მასის ხარშვა: კარამელის მასა ბადაგზე კარამელის მასა ინგერტზე	3-4 ჯერ ცვლაში 3-4 ჯერ ცვლაში	ა) მშრალი ნივთ. შემცვ. ბ) რედუც. ნივთ. შემცვ.

<b>შემცირებული ბადაგის რაოდენობით</b>		ა) მშრალი ნივთ.შემცვ. ბ) რედუც. ნივთ.შემცვ.
1	2	3
<b>გულსართები:</b> <b>ხილ-პენკროვანი</b>	ყოველი მომზადებული პარტია	ა) მშრალი ნივთ.შემცვ. ბ) გემო, სუნი, კონსისტენცია.
<b>ლიქიორიანი</b>	ყოველი მომზადებული პარტია	ა) მშრალი ნივთ.შემცვ. ბ) რედუც. ნივთ.შემცვ.
<b>პომადის შაქრიანი</b>	უწყვეტი წარმოების ცვლაში 2 ჯერ პერიოდული წარმოების ყოველი პარტია	მშრალი ნივთიერებების შემცველობა
<b>პომადის რძიანი, მარციპანის</b>	ყოველი მომზადებული პარტია	მშრალი ნივთიერებების შემცველობა
<b>შენიშვნა:</b>		ყველა გულსართი ექვემდებარება ორგანოლებტიკურ კონტროლს.
<b>მზა კარამელი</b>	ყველა სახეობაზე 3- ჯერ ცვლაში	მარსისა და გულსართის თანაფარდობა, მჟავიანობა, 1 კგ-ში კარამელის რაოდენობა; მექანიკური მინარევების შემცველობა; გემოგნებითი თგისებები

გარდა აღნიშელი შემოწმებისა, საამქროს ლაბორატორიის ფუნქციებში შედის მუავისა და სოდის დოზირების კონტროლი ინგერტული სირთფის მომზადებისას. ამ სირთფის დოზირების კონტროლი ბადაგის რაოდენობის შემცირებისას რეცეპტურით და სხვა.

## მშრალი ნიგთიერებების შემცველობის განსაზღვრა საკონდიტრო ნაწარმში

მშრალი ნიგთიერებების განსაზღვრა საკონდიტრო წარმოების მზა პროდუქციაში და ნახევარფაბრიკატებში ძირითადად ხდება რეფრაქტომეტრის გამოყენებით (შაქრის რეფრაქტომეტრი). იგი ფართოდ გამოიყენება ისეთი პროდუქტების კონტროლისათვის, როგორიცაა შაქარ-ბადაგის სირთფი, პომადა, შაქრიანი კარამელის მასა, ხილ-კენკროვანი პიურეები, გაშლის მარმელადი სხვა.

ტექნიკურ სასწორზე ვწონით ტარას, ვათაგსებთ მასში წონაგს (გამოსაკვლევს), ვუმატებთ იმდენ წყალს, რამდენიც არის წონაკი, (რათა მიგიღოთ 50%-იანი ხსნარი), ვხსნით მასში წონაგს, ვაცხელებთ წყლის აბაზანაზე ( $70^{\circ}\text{C}$  - არაუმეტეს), ვაციებთ, ვწონით, აღვადგენთ მას გამოხდილი წყლით საწყის წონამდე და იმწუთშივე რეფრაქტომეტრით ვსაზღვრავთ მშრალი ნიგთიერებების რაოდენობას (შესწორებების გარეშე).

$$x = \frac{nb}{g}$$

სადაც  $n$  - არის რეფრაქტომეტრის ჩვენება  $20^{\circ}\text{C}$  ზე.

$b$  - არის ხსნარის მასა, გრ.

$g$  - წონაგის მასა, გრ.

შესწორებებს გითვალსწინებთ შემდეგი ცხრილის მიხედვით: (კარამელისათვის ინგერტზე ბადაგის სხვადასხვა შემცველობით) (შესწორების საბოლოო კოეფიციენტია №14 გრაფაში) შესწორებები მშრალ ნიგთიერებებზე კარამელისათვის ინგერტზე.

მშრ. ნიგთიერებების შემცველობა

რედუც. ნიგთ. შემცველობა

ბადაგში 2 78%

ბადაგის მშრ. ნივთიერებებში -40%

ინგერტში 2 85%

ინგერტის მშრ. ნივთიერებებში -70%

რედუც. ნივთიერებების გაზრდა-5%

100 კგ შაქარში		მშრალი ნივთიერებების შემცველობა რეცეპტ.				რედუც. ნივთ. შემცვ. ქარამელის მშრ ნივთ.				შესწორება			
1	2	3	4	15	6	7	8	9	10	11	12	13	14
40	12.7	100	31.2	10.80	142.0	8.79	6.32	5.0	20.02	21.97	-0.73	0.29	0.44
30	16.1	100	23.4	13.68	137.09	6.83	8.23	5.0	20.06	17.08	-0.56	0.38	0.23
20	19.5	100	15.6	15.68	131.28	4.75	10.4	5.0	20.05	11.88	-0.40	0.40	0.00
10	22.9	100	7.8	19.47	127.27	2.45	12.62	5.0	20.07	6.12	-0.20	0.45	+0.25
0	26.9	100	0.00	22.36	122.36	0.00	15.04	5.0	20.04	0.00	-	53	+0.53

### სინესტის განსაზღვრა საკონდიტორო ნაწარმში

დაჩქარებული მეთოდით გამოშრობა ხდება  $130-135^{\circ}\text{C}$ -ზე 50 წთ-ის განმაგლობაში.

საშრობ კარადაში  $135^{\circ}\text{C}$ -ზე ათაგსებენ ბიუქსებს წონაკით 2-3 გრამი (ირისი, ბრალინე, კაკაოს ფხვნილი და რძიანი კანფეტი, შედლებილი ნაწარმი და სხვა) 0.001 გრ. სიზუსტით, ფქვილოვანი საკონდიტორო ნაწარმი აიღება 5 გრ. სიზუსტით 0.01.

თუ შრობას გაწარმოებთ გახურებულ სილაზე, მაშინ 6-8 ჯერ ნაკლები რაოდენობის წონაგს გიღებთ. გამოშრობის შემდეგ ბიუქსებს გიღებთ, 20-30 წუთით გათავსებთ ექსიკატორში, რომელშიც არის  $\text{CaCO}_3$ -ის გრანულები, კონც.  $\text{H}_2\text{SO}_4$  ან  $\text{P}_2\text{O}_5$ .

ამის შემდეგ ხდება აწონგა და გამოთვლა:

$$W = \frac{a \cdot 100}{b} \%$$

სადაც  $a$  არის წონგის წონათა სხვაობა (გამოუმშრალ და გამომშრალ წონაგებს შორის).  $b$  არის აღებული წონაგის მასა, გრამებში.


### კარამელის მასის სინესტის განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდი ი. ს. ლურიეს მეთოდით

ეს მეთოდი ემყარება კარამელის მასის სინესტესა და სიმკგრივეს შორის დამოკიდებულებას. მეთოდში გამოყენებულია მნიშვნელოვანი სხვაობა მყარი სხეულისა და სითხის გაფართოების ტემპერატურულ კოეფიციენტებს შორის. მყარ სხეულად გამოყენებულია კარამელის მასა და სითხედ კი - ოთხქლორიანი ნახშირბადი.

კარამელის მასის სიმკგრივე გაცხელებისას თითქმის არ იცვლება, ხოლო ოთხქლორიანი ნახშირბადის მნიშვნელოვნად მცირდება, ჩვეულებრივ ტემპერატურასა ( $18-25^{\circ}\text{C}$ )  $\text{C/C}$ -ის სიმკგრივე შეტია კარამელის მასის სიმკგრივეზე და კარამელის მასის ნატეხები, ჩატვირთული  $\text{C/C}$ -ში ცურავენ მის ზედაპირზე. გაცხელების  $\text{C/C}$ -ის სიმკგრივე ხწრაფად მცირდება და უტოლდება კარამელის მასის სიმკგრივეს, შემდგომი გაცხელებით კი მასზე ნაკლები ხდება, რის გამოც კარამელის მასა იწყებს ჩაძირვას. სხვადასხვა სახის კარამელის მასის ჩაძირვის ტემპერატურა  $\text{C/C}$ -ში სხვადასხვა სიდიდისაა და დამოკიდებულია სინესტეზე. მაგ, კარამელის მასა, მომზადებული რეცეპტურით – 50% ბადაგი შაქრის მასასთან შედარებით, სინესტით 1.5%, იწყებს ჩაძირვას  $\text{C/C}$ -ში  $52^{\circ}\text{C}$ -ზე, ხოლო სინესტით 2.5%, იძირება  $58^{\circ}\text{C}$ -ზე, 3.0%-

სინესტით კი 61°-ზე. ამიტომ ტემპერატურის გაზომვით კარამელის ჩაძირვისას 77°-ში, დიდი სიზუსტით შეიძლება გამოითვალოს კარამელის მასის სინესტე. განვიხილოთ ჩაძირვის ტემპერატურასა და კარამელის მასის სინესტეს შორის დამოკიდებულება:


(ღიატ: Б.В. Кафка, Т.С. Лурье, Технологический контроль конд. Произв.).



კარამელის მასის ჩაძირვის ტემპერატურასა და კარამელის მასის სინესტეს შორის დამოკიდებულების გრაფიკი.

გაზომვა ხდება უმარტივესი ხელსაწყოთი:

ლაბორატორიული  
დანადგარი კარამელის  
მასის სინესტის



## განსაზღვრისათვის ლურიის მეთოდით

იგი შეგდება ორი ჭიქისაგან, გარეთა ჭიქა-1 მოცულობით 300 მლ და შიგა ჭიქა-2, მოცულობით 150მლ. შიგა ჭიქა ჩაკეტილია გარე ჭიქაში სამაგრით -3. გარეთა ჭიქა დგას ელ. ქურაზე -4, რომელზეც აზბესტის ბადეა -5 მოთაგსებული. შიგა ჭიქაში ჩაშვებულია თერმომეტრი -6, დამაგრებული შტატიგზე 7. შიგა ჭიქა დახურულია თაფსახურით-8.

შიგა ჭიქაში ასხამენ 11/4-ს, ისე რომ ზედა საზღვრიდან დაშორებული იყოს 3-5 სმ-ით და ფარავდეს თერმომეტრის ბურთულას 2სმ-ით. გარე ჭიქას აფხებენ წყლით, რთაგენ ქურას და  $40-45^{\circ}\text{C}$ -ზე იწყებენ მის დარეგულირებას ისე, რომ წო-ში ტემპერატურამ აიწიოს  $2-2,5\ ^{\circ}\text{C}$ -ით,  $50\ ^{\circ}\text{C}$  – ზე ხელსაწყო მზადაა ანალიზის საწარმოებლად.

საკვლევ ნიგთიერებას აქცეცმაცებენ მსხვილად და პინცეტით უშვებენ 11/4-ის ზედაპირზე. კარამელის მასა ცურავს მის ზედაპირზე, ჩაინიშნავენ ტემპერატურას, როცა ერთი ნატეხი მაინც ჩაიძირება შესაბამისი ცხრილებით პოულობენ კარამელის მასის სინესტეს.



**სინესტის განსაზღვრა კარამელის მასისათვის ტემპერატურაზე დამოკიდებულებით  
მისი ჩატვირთვისას ორთქლიან ნახშირბადში.**

ჩაძირვის ტემპერატურა	სინესტე%, 100 წ.ნ.წ. შაქარზე ბადაგი სხვადასხვა წ.ნ. შემცველობის					
	50	40	30	20	10	0
1	2	3	4	5	6	7
50.0	1.20	0.94	0.68	-	-	-
50.5	1.29	1.02	0.75	-	-	-
51.0	1.37	1.10	0.84	-	-	-
51.5	1.45	1.18	0.92	0.69	-	-
52.0	1.53	1.27	1.00	0.77	-	-
52.5	1.62	1.35	1.09	0.85	-	-
53.0	1.70	1.43	1.17	0.93	0.67	-
53.5	1.70	1.52	1.26	1.02	0.75	-
54.0	1.86	1.60	1.35	1.10	0.83	0.63
54.5	1.94	1.68	1.42	1.19	0.92	0.71
55.0	2.02	1.76	1.49	1.27	1.00	0.79
55.5	2.11	1.85	1.58	1.35	1.09	0.87
56.0	2.19	1.93	1.66	1.43	1.17	0.95
56.5	3.28	2.01	1.74	1.52	1.25	1.04
57.0	2.36	2.09	1.82	1.60	1.38	1.12
57.5	2.44	2.18	1.91	1.68	1.42	1.20
58.0	2.52	2.26	1.99	1.76	1.50	1.28
58.5	2.60	2.34	2.07	1.85	1.59	1.37
59.0	2.68	2.42	2.15	1.93	1.68	1.45
59.5	2.76	2.51	2.24	2.01	1.75	1.53
60.0	2.84	2.60	2.32	2.09	1.83	1.61
60.5	2.93	2.69	2.40	2.18	1.92	1.70

<b>61.0</b>	<b>3.01</b>	<b>2.77</b>	<b>2.48</b>	<b>2.26</b>	<b>2.00</b>	<b>1.78</b>
61.5	3.09	2.85	2.57	2.34	2.09	1.87
62.0	3.17	2.93	2.65	2.42	2.17	1.95
62.5	3.26	3.02	2.73	2.51	2.25	2.03
63.0	3.34	3.10	2.81	2.58	2.33	2.11
63.5	3.42	3.18	2.90	2.68	2.42	2.20
64.0	3.50	3.26	2.98	2.76	2.50	2.28
64.5	3.59	3.36	3.07	2.86	2.59	2.35
65.0	3.67	3.45	3.15	2.92	2.67	2.45
65.5	3.75	3.52	3.22	3.01	2.75	2.53
66.0	3.83	3.59	3.30	3.09	2.83	2.61
66.5	3.94	3.68	3.39	3.17	2.92	2.70
67.0	4.05	3.76	3.47	3.26	3.00	2.78
67.5	4.14	3.84	3.55	3.34	3.09	2.86
68.0	4.22	3.92	3.63	3.42	3.17	2.94
68.5	40.30	3.99	3.72	3.50	3.25	3.02
69.0	4.38	4.07	3.80	3.58	3.33	3.11
69.7	4.47	4.15	3.88	3.67	3.42	3.19
70.0	4.56	4.23	3.96	3.75	3.50	3.27

## სინესტის განსაზღვრა ჩიუთვის ხელსაწყოთი

წარმოებაში ნედლი ნახევარფაბრიკატის და ნედლეულის სინესტის სწრაფი მეთოდით განსაზღვრისათვის გამოიყენება ჩიუთვის ხელსაწყო.



მართვულნედის ფორმისა და მრგვალი ფორმის ჩიუთვის ხელსაწყოები სინესტის სწრაფი განსაზღვრისათვის.

ხელსაწყო აღჭურვილია როგორც ოთახის ტემპერატურის, ასევე ცხელი ნედლეულისათვის სინესტის განსასაზღვრავად. სინესტე გამოითვლება წონაკის წონათა სხვაობით %-ში.

$$W = \frac{a-b}{g} \cdot 100$$

სადაც, α- არის ფირფიტის მასა წონაკით ან ქაღალდის პაკეტის მასა წონაკით, გ

ბ- იგივე გამოშრობის შემდეგ, გ

გ- პროდუქტის წონაკი, გ

გამოშრობის დრო და საჭირო ტემპერატურა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ საკონდიტრო ნაწარმის შრობისათვის, გაფითვალისწინობით შემდეგი მონაცემებიდან:

**ოპტიმალური დრო, ტემპერატურა, რეკომენდირებული ჩიჟოვის  
ხელსაწყოს გამოყენებისას**

გამოსაშრობი ნივთიერება	შრობის დრო, წთ.	ტემპერატურა °C
1	2	3
ხილის გულსართი	5	170-175
შედლგებილი გულსართი	6	165-170
მარციპანის გულსართი	5	170-175
ბომადა ნახევარფაბრიკატი	4	170±5
„სუფლე (შედლგებილი გამფეტის მასა)	6	175±2
გამფეტის კორპუსი:		
უელეიანი - ხილის	5	170±5
რძიანი ბომადის	6	175±2
რძიანი კამფეტები	6	175±2
კამფეტები რძიანი	5	175±2
გულსართით		
კამფეტები უელეიანი	5	175±2
ხილის კორპუსით		
ირისი	5	
ხალვა	3	165-170
მშრალი რძე	2	165-170
შედედებული	5	160±5
რძე შაქრით		170±5
კაკაოს მარცვლები	5	
კაკაოს ფხვნილი	5	160±5
(საწარმო)		


ნამცხვარი შაქროვანი და შემკოფავი გაშლის მარმელადი	3 3	$165 \pm 5$  $160 - 165$  $160 - 160$
---	--------	---

### რედუცირებული (ინგერტული) ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა


რედუცირებული შაქრების განსაზღვრა ფელინგის (სპილენდის ტუტე ხსნარი) ინგერტული შაქრის ხსნარით გაფილტვრის მეთოდით დაფუძებულია ფელინგის სითხის მუქი ლურჯი ხსნარის გაუფერტულებაზე ინგერტული შაქრების ხსნარით

ფელინგი I -  $CuSO_4$ - ის ხსნარი

ფელინგი II - სეგნეტის მარილი ანუ ღვინისმჟავა კალინატრიუმის მარილი.





ღვინისმჟავა კალიუმ-ნატრიუმი.



ღვინისმჟავა-სპილენდის კომპლექსი.

რამდენადაც ინგერტული შაქრები შეიცავენ ალდეჰიდურ და კეტონურ ჯგუფებს, მათ გააჩიათ აღდგენითი უნარი და სპილენძის ტუტე ხსნარს (ფელინგის სითხეს) აღადგენენ სპილენძის ქვეუანგამდე და შეინიშება ფელინგის ხსნარის გაუფერულება  $CuSO_4$  ის გამოყოფით, რომლის წითელი ფერი ნიღბავს სრული გაუფერულების მომენტს.



ამოცანის შესასრულებლად თავდაპირველად საჭიროა ფელინგის I და ფელინგის II ხსნარების მომზადება, ინგერტული შაქრის სტანდარტული ხსნარის მომზადება.

ფელინგის ხსნარი I 2 69,28 გრ.  $CuSO_4 \cdot 5H_2O$  გახსნილი 1 და წყალში.

ფელინგის ხსარი II 2 346 გრამი სეგნეტის მარილი + 100 გრამი  $NaOH$  1ლიტრ წყალში.

მეთოლის ლურჯი 2 1 გრამი მეთოლის ლურჯი 100 გრამ წყალში, გაფილტრული.

ინგერტული შაქრის სტანდარტული ხსნარი: შაქარ-რაფინაცია ან სუფთა სახაროზა თავსდება ექსიგატორში 3 დღე-დამის განმავლობაში, ამის შემდეგ აიღება წონაკი 1,9 გრამის ოდენობით, გაიხსნება წყალში და შეიგსება 100 მლ-მდე წყლით, ეს ხსნარი გადააქვთ 200 მლ-იან საჭომ კოლბაში, უმატებენ 7-8 მლ კონცენტრირებულ

*HCL*-ს ყოველ 100მლ-ზე. (ანუ 7-8 მლ კონც. *HCL*). კოლბას თერმომეტრით ათავსებენ წყლის აბაზანაზე 2-3 წთ. წყლის  $t=80\%$ , ხსნარისა  $67-70^{\circ}\text{C}$ . ამ ტემპერატურაზე აყოვნებენ ხსნარს ზუსტად 5 წუთი. ამის შემდეგ იმ წამსგე აციებენ წყლის ჭავლის ქვეშ ოთახის ტემპერატურამდე და ანეიტრალებენ 25-30%-იანი ტუტით, 1-2 წერთი მეთილორინუის დამატებით. ტუტეს უმატებენ პიპეტით წვეთ-წვეთ გარდისფერ ნარინჯისფერში გადასვლამდე (თუ გაიტიტრა, გადავიდა ყვითელში, საჭიროა მუავის 0.5 N *HCL*-ის დამატება წვეთ-წვეთ გარდისფერ-ნარინჯისფერის

მიღებამდე. ხსნარს ანზავებენ ნიშნულამდე. მიღებული სტანდარტული ხსნარი შეიცავს 0.1 გრამ ინგერტულ შაქარს 1მლ-ში.

სტანდარტული ხსნარის მომზადების შემდეგ გადგენთ ფელინგის ხსნარის ტიტრს, რისთვისაც 100მლ-იან კონუსურ კოლბაში გათავსებთ 10-10 მლ ფელინგი-I და ფელინგი-II ხსნარებს, პიპეტით გამატებთ 10 მლ წყალს და Z ის მაგვარ ბიურეტიდან სტანდარტული ინგერტული ხსნარის 8.5-9 მლ-ს. გაცხელებით აღუღებამდე, გადუღებით ზუსტად 1წთ-ს, დუღილის პირობებში გუმატებით 3 წერთ მეთილის ლურჯს და გტიტრაგთ იმავე ინგერტული შაქრის ხსნარით ლურჯი ფერის გაქრობამდე. ინგერტული შაქრის ხსნარის რაოდენობა (მლ) (ჯამური რაოდენობა) გამრავლებული 0.01-ზე გვიჩვენებს რამდენ გრამ ინგერტულ შაქარს შეესაბამება 20 მლ სპილენძის ტუტე ხსნარი.

ამის შემდეგ გიღებთ საკვლევი კარამელის წონაკის ხსნარს ისეთი რაოდენობით, რომ 100 მლ-ში იყოს არა უმეტეს 0.8 რედუცირებული შაქარი. წონაკის სიღიდე გაიანგარიშება ფორმულით:

$$g = \frac{av}{p}$$

სადაც  $\alpha$  - არის 100 მლ მომზადებულ ხსნარში განსაზღვრული შაქრის დასაშვები რაოდენობა (0.8გ).

$v$  - მზომი კოლბის მოცულობა, ალებული წონაკის ხსნარის მოსამზადებლად (100მლ).

$\mu$  - ინგერტული შაქრების საგარაუდო შემცველობა საკვლევ პროდუქტში, % (კარამელის მასაში 17-20%, კარამელის სირთფში 12-14%).

ამის შემდეგ წინასწარ დაქუცმაცებულ კარამელის წონაკს გხსნით  $60-70^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის გამოხდილ წყალში (ჭიქაში), გადაგვაქს 100მლ მოცულობის მზომ

კოლბაში, გაცივებთ, მიგვყავს ნიშნულამდე და გურევთ კარგად. მიღებულ ხსნარში გსაზღვრავთ მარედუცირებელ შაქრებს. კონუსურ კოლბაში (მოცულობით 100-150მლ) შეგვაქვს 10-10 მლ ფელინგი I და ფელინგი II და საკვლევი ხსნარი, განჯლევთ, გაცხელებთ ადუდებამდე, შემდეგ გადუღებთ 1 წთ და ამ პირობებში გუმატებთ 3 წვეთ მეთილის ლურჯს, გტიტრავთ ინგერტული შაქრის სტანდარტული ხსნარით ლურჯი შეფერილობის გაქრობამდე.

**რედუცირებული შაქრების რაოდენობა % (%) იანგარიშება ფორმულით:**

$$x = \frac{0,01(n-m)100 \cdot 100}{10g} = \frac{10(n-m)}{g}$$

სადაც  $\pi$  ინგერტული შაქრის სტანდარტული ხსნარის მოცულობაა, რომელიც დაიხარჯა 20მლ სპილენძის ტუტე ხსნარზე, მლ.

$\pi$  - გატიტგრაზე დახარჯული ინგერტული შაქრის სტანდარტული ხსნარის რაოდენობა, მლ.

$g$  - პროდუქტის წონაკი, გ.

### **კარამელის მასის განთხევის კოეფიციენტის განსაზღვრა**

კარამელის მასის განთხევა წარმოადგენს კარამელის მასის სიბლანტის ირიბ მახასიათებელს და დამოკიდებულია კარამელის რეცეპტურაზე. სიბლანტე გაფლენას ახდენს კარამელის მასის დაშაქრებისადმი მდგრადობაზე, კარამელური ბადაგი, განსაკუთრებით დექსტრინების შემცველობის გამო, იწვევს კარამელის მასის სიბლანტის ამაღლებას, ხოლო კარამელის მასა, მომზადებული ინგერტულ სიროფზე, იგივე სინესტის შემთხვევაში, ხასიათდება დაბალი სიბლანტით და მაღალი განთხევით.

კარამელის მასის განთხევა ხასიათდება განთხევის კოეფიციენტით:

$$k = \frac{s}{p}$$

სადაც,  $\kappa$  განთხევის კოეფიციენტია  $s^2 / g$

$\tau$  კარამელის მასის პლასტის მიერ დაკავებული ფართობი (წრის ფართობი) ფილაზე  $108^\circ C$  ტემპერატურაზე,  $s^2$

$\mu$  კარამელის მასის ულუფის მასა,  $g$

ანალიზისათვის გიღებთ  $108^\circ C$  ტემპერატურის მქონე კარამელის მასას და გათავსებთ წინასწარ ზეთწასმულ ფაიფურის ან მარმარილოს ფილაზე. გზომავთ კარამელის მასიდან მიღებული პლასტის წრის დიამეტრს, როგორც ორი ურთიერთმართობული დიამეტრების საშუალო მნიშვნელობით და გთვლით წრის ფართობს.

განთხევადების კოეფიციენტს კი განგარიშობთ აღნიშნული ფორმულით.

### მუაგიანობის განსაზღვრა ტიტრული მეთოდით.

საკონდიტორო ნაწარმის (ნახევარფაბრიკატის) მუაგიანობის განსაზღვრისათვის წონაკი 5 გრ 0.01 გრ სიზუსტით, თავსდება ქიმიურ ჭიქაში, რომლის მოცულობაა 200-250 მლ, უმატებთ 100 გრამ დისტილირებულ წყალს  $60-70^\circ C$  ტემპერატურით. კარგად მოურევთ, გაციგებთ, გუმატებთ 3-4 წევთ ფეროლფტალეინს და გტიტრავთ 0.1 N  $NaOH$ -ით და გარდისფერამდე, რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ ქრება. მუაგიანობა  $^6H$  გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{\nu \cdot 100}{g \cdot 10} = \frac{10\nu}{g}$$

სადაც,  $\nu$  - არის 0.1 N  $NaOH$ -ის მლ-ის რაოდენობა დახარჯული გატიტგრაზე.

$g$  - წონაკის მასა, გრამებში.

ფორმულა სწორია, თუ  $k=1$ ; სხვა შემთხვევაში საჭიროა  $NaOH$ -ის ნორმალობის ტიტრის დადგენა და  $x^0$ -ის გადამრავლება  $k$ -ზე.

### კარამელის მასისა და გულსართის თანაფარდობის განსაზღვრა (გულსართიან კარამელში)

არსებობს განსაზღვრის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი. პირდაპირი მეთოდი დაფუძნებულია გარსისა და გულსართის მექანიკურ დაშორებაზე.

წონიან 10 ცალ კარამელს 0.1 გრ სიზუსტით, აცალკევებენ ერთმანეთისაგან და ითვლიან  $\%$ -ულად მათ შემცველობას. (პირდაპირი მეთოდი).

არაპირდაპირი მეთოდით საჭიროა გავითვალით რომელიმე ქიმიური მაჩვენებელი კარამელის შემდაგენელი ნაწილებისა (გარსის ან გულსართის).

გიღებთ კარამელის სამ ულუფას (თითოში არა ნაკლებ 10 კარამელი). I-ს განაწილებთ, II-ს ვაცლით კანს და ვაწილადებთ, III-ს ვაცლით გულსართს და ვაწილადებთ ერთგვაროვან მასამდე, ვათავსებთ ცალ-ცალკე ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. ამის შემდეგ თითოეულ მათგანში ვსაზღვრავთ რაოდენობრივად სინესტეს ( $\%$ ), მშრალ ნივთიერებებს ( $\%$ ), რედუცირებულ შაქრებს, საერთო შაქარს, ცხიმს და სხვა.

თუ I სინჯში რედუცირებული შაქრებია  $\%-\#$  - [

II სინჯში -  $\alpha$

III სინჯში -  $\beta$ .

ნოლო გარსისა და გულსართის რაოდენობებია ( $\%$ ) შესაბამისად  $x$  და  $y$ ,

მაშინ:

$$\begin{cases} x + y = 100 \\ ax + by = 100c \end{cases}$$

სისტემას ამოხსნით გიგებთ:

$$y = \frac{100(c - a)}{b - a}$$

შესაბამისად გიგებთ

$$x = 100 - y$$

$x$ -ისა და  $y$ -ის განსაზღვრას გიგებთ თანაფარდობით:  $\frac{x}{y}$

### შაქარ-ბადაგიანი სირთფისა და კარამელის მომზადება

განვიხილოთ კარამელის რეცეპტურა:

ნედლეული	მშრალი ნიგოიერებები %	ნედეულის ხარჯი 1 ტონა კარამელზე, კგ		ნედლეულის საერთო ხარჯი 100 გრამ შაქარზე	
		რაოდ.	მშრ.	რაოდენობა	ნიგოიერება
შაქრის ფენილი	99.85	713.2	712.1	100	99.85
ბადაგი ლიმონის	78	356.2	278.1	ანგ.	ანგ.
მუაგა	98	10.0	9.8	ანგ.	ანგ.
ესენცია	--	4.0	-	ანგ	ანგ
სალებავი	--	0.2	-	ანგ	ანგ.

სულ გამოსაგალი		1084.0 1000.0	1000.0 985.0	ანგ. ანგ.	ანგ. ანგ.

გაანგარიშებული რეცეპტურის შესაბამისად გწონით ნედლეულს, შაქარს გხნით წყალში – (25-30%) წყალი შაქრის მასასთან შედარებით, გაცხელებთ მინის ქვაბში. მიღებულ ხსნარს გუმატებთ  $60^{\circ}\text{C}$ -მდე გაცხელებულ ბადაგს და გხარშავთ 80-82%

მშრალი ნივთიერებების შემცველობამდე, რასაც ვაკონტროლებთ რეფრაქტომეტრით. შემდეგ გიღებთ კარამელური ნიმუშის (სიროფის) 10 გრამის ოდენობით და ვსაზღვრავთ მარედუცირებელ ნივთიერებებს მასში.


კარამელის სიროფი შეიცავს 12-16% ტენს, ხოლო კარამელის მასა 1-4%-ს, ამიტომ გხარშავთ სიროფს კარამელის მასის მიღებამდე. ხარშგის ხანგრძივობას ვაკონტროლებთ ტემპერატურით, საბოლოო ტემპერატურა  $140-150^{\circ}\text{C}$ -ია. ამის შემდეგ ვაცივებთ კარამელის მასას  $108^{\circ}\text{C}$ -მდე და მარმარილოს ან ფაიფურის ზეთწასმულ ფილაზე გადაგვაჭებს. გზომავთ მიღებული შაქრის ურთიერთმართობულ  $\text{H}_2\text{O}$ -დიამეტრს კარამელის მასის განთხევადობის გაგებისათვის, ამის შემდეგ მასის ზედაპირზე გუმატებთ ლიმონის მჟავას, ესენციას, საღებავს, გურევთ ენერგიულად შპატელით ჰაერის ბუშტუკების სრული მოცილების, დანამატების თანაბარი განაწილებისა და სასურველი სისქის ფენის მიღების მიზნით ( $0.5\sim 0.8\text{mm}$  და  $75-80^{\circ}\text{C}$ ) გაწარმოებთ კარამელის ფორმირებას. კარამელის გაცივების შემდეგ გწონით და ვსაზღვრავთ გამოსაფლიანობას და მიღებულ შედეგს გადარებთ რეცეპტურაში მოცემულ მაჩვენებელს.

**შაქარ-ინგერტული სიროფისა და კარამელის  
მომზადება**

სამუშაო ითვალისწინებს ინგერტული სიროფის მომზადებას (70-78% კონც.) ინგერტული სიროფის სინესტისა და მარედუცირებელი ნივთიერებების განსაზღვრას, კარამელის რეცეპტურისა და გამოსაფლიანობის გაანგარიშებას ინგერტულ სიროფზე და კარამელის მომზადებას ინგერტულ სიროფზე.

50 გრამ შაქარს გხსნით 12,5 გრ წყალში ფაიფურის ჯამზე და ვაცხელებთ, მიღებულ სიროფს 90°C ტემპერატურაზე, ვუმატებთ 10%-იან HCL-ს, (შაქრის წონაკის 0.2%-ის ოდენობით) იმავე ტემპერატურაზე და ვაწარმოებთ ინგერსიას 30წთ-ის განმავლობაში, ინგერსიის დამთავრებსთანავე ინგერტულ სიროფს გაგრილებთ 65 °C-მდე და ვანეიტრალუებთ 10%-იანი სოდის ხსნარით ენერგიული არეფის პირობებში.

სოდის რაოდენობას ვსაზღვრავთ რეაქციით:



ინგერტულ სიროფში ვსაზღვრავთ ტენიანობას რეტრაქტომეტრული მეთოდით და მარედუცირებელი ნივთიერებების რაოდენობას.

კარამელის რეცეპტურის ვაანგარიშება, ინგერტული სიროფის რაოდენობა კარამელის რეცეპტურაში გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{100aS}{(100-b)(A-a)}$$

სადაც  $x$  ინგერტული სიროფის რაოდენობა, გ.

$S$  ჩატვირთული შაქრის რაოდენობა, გ.

$A$ - ინგერტულ სიროფში შაქრების შემცველობა % (ანალიზით მიღებული).

$b$ - კარამელის სიროფის სინესტე (14-16%).

$a$ - კარამელის სიროფში ინგ. შაქრის დასაშვები შემცველობა (14%).

ანალიზის მსგლელობა: 100 გრ შაქარი იხსნება 25 მლ წყალში, მეტალურ ჭიქაში. ნარევი მიგვყაფს დუღილამდე მორევის პირობებში, მანმადე გწონით ფაიფურის ჯამზი

ინგერტულ შაქარს (ანგარიშით, 1გ-ით მეტს) და გადაგვაქვს მდუღარე შაქრის სირთფში, მასის დადუღებას გაწარმოებთ  $150^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე. ამის შემდეგ ცხელი მასა გადაგვაქვს ფაიფურის ჯამზე, ზედაპირზე ცხელ მასას ვუმატებთ ლიმონის მუაგას, 1,1% კარამელის მასისა ( $1,3$  გრამი). გაცივებთ, გაფორმებთ  $70-75\text{ }^{\circ}\text{C}$ -ზე, გწონით, გითვლით გამოსავალს, და ყველა ფიზიკო-ქიმიურ მაჩვენებლებს: სინესტე, რედუცირებული ნივთიერებების რაოდენობა, ფერი, გემო, ფორმა და სხვა. შენიშვნა: რეცეპტურის გაანგარიშებისას გაწარმოებთ შაქარ-ბადაგის კარამელის რეცეპტურის ანალოგიურად  $100$  გრ შაქარზე: (ბადაგი შეცვლილია ინგერტული სირთფით).

## თემა II. რბილი კამფეტისა და ირისის წარმოება

ძირითადი უბნები რბილი კამფეტისა და ირისის წარმოების  
ტექნოლოგიური ხაზისა, სადაც ხდება კონტროლი:

კონტროლის ობიექტები	კონტროლის სიხშირე	კონტროლის სახეები
1	2	3
რბილი კამფეტის წარმოებისას ნედლეული, რომელიც შემოდის ძირითად საამქროში შაქრის ფხვნილი	ყოველი შემოსული პარტია	სუნი, გემო, მექნიკური მინარევების შემცველობა.
ბადაგი	ყოველი კასრი, თუ ბადაგი	სუნი, გემო, მშრალი

<p><b>ხილ-გენგროვანი ნამზადები.</b></p> <p>გემოგნებითი დანამატები თხილისა და წუშის გული</p>	<p>მიეწოდება ტუმბოთი, მაშინ, პერიოდულად ცვლაში 3-ჯერ ყოველი შემთხული პარტია.</p> <p>ყოველი პარტია</p>	<p>მინარევების შემცველობა.</p> <p>სუნი, გემო, კონსისტენცია, ფერი</p> <p>გემო, სუნი, სხვა გარე მინარევები</p>
---	---	--


1	2	3
შედედებული რძე მშრალი რძე, ცნობები	ყოველი პარტია	მუაგიანობა, გემო, სუნი, სხვა მინარევების არსებობა
უცნობო რძე პომადის მომზადება: პომადა-ნახევარფაბრიკატი	ყოველი პარტია არანაკლებ 2-ჯერ ცვლაში	-----,----- გემო, სუნი, კონსისტენცია, სტრუქტურა, მშრალი ნივთიერებების შეცველობა. რედუცირებული ნივთიერებების შემცველობა
პომადის კორპუსი	არანაკლებ 2-ჯერ ცვლაში	გემოგნებითი თვისებები. სტრუქტურა, კონსისტენცია, მშრალი ნივთიერებების შემცველობა. რედუცირებული ნივთიერებების შემცველობა.
ნიღის მასის ხარშვა და ფორმირება უელე-მარმელადის და ფორმირებული კორპუსები	1-2 ჯერ ცვლაში თითოეულ სახეობაზე	გემო, სუნი, სტრუქტურა, ცონსისტენცია, მშრალი ნივთიერებების შემცველობა, რედუც. ნივთიერებების შემცველობა
პრალინესა და მარციბანის მასისა და კორპუსის მომზადება მასა ან კორპუსი	ყოველი პარტია სახეობების მიხედვით	გემო, სუნი, კონსისტენცია

1	2	3
<p style="text-align: center;"><b>შედლვებილი და ლიქითორიანი კორპუსების მომზადება</b></p> <p>შასა ან კორპუსი</p> <p>მზა ნაწარმი ღია და მოჭიქურებული კამფეტები</p> <p>ირისის წარმოება: შაქარი, ბადაგი, ცხიმები, რძე</p>	<p>1-2 ჯერ ცვლაში ყოველი სახეობის მიხედვით</p> <p>არა ნეკლებ ცვლაში ერთხელ ყოველი სახეობებისათვის</p> <p>ეს ნედლეული მოწმდება ისეგე, იმდენჯერგე, და იმაგე მაჩვენებლებზე, რაც განხილული იყო რბილი კამფეტების წარმოებისას.</p>	<p>მშრალი ნიგოიერებების შემცველობის, გემოგნებითი თვისებები</p> <p>-----</p> <p>ჭიქურისა და კორპუსის თანაფრდობა, მექანიკური მინარევების შემცველობა, 1 კგ ნაწარმში ცალობითი რაოდენობა</p>
<p>რძის სირთფი</p>	<p>ყოველ სახეობაზე ერთხელ ცვლაში</p> <p>ყოველ სახეობაზე ერთხელ ცვლაში</p>	<p>გემოგნებითი თვისებები; გარე სახე.</p> <p>გემო, სუნი, გარეგანი სახე, მშრალი ნიგოიერებების შემცველობა, რედუც. ნიგოიერებების შემცველობა, 1 კგ -ში მათი მინარევების შემცველობა, 1კგ -ში მათი რაოდენობა ცალობით.</p>
<p>მზა ნაწარმი</p>		

## კამფეტისათვის

### შოკოლადის ჭიქურის სიბლანტის განსაზღვრა

საკონდიტორო წარმოებაში დიდი გამოყენება აქვს გისკოზომეტრს სიბლანტის განსაზღვრისათვის. იგი შედგება ორმაგი მეტალური ჭიქისაგან 4-5, რომელშიც თავსდება საკვლევი შოკოლადის მასა, ჭიქი მოთავსებულია ვ-დგარზე, რომელიც რედუქტორის -2 და ძრავის დახმარებით მოდის ბრუნვით მოძრაობაში. ჭიქის თავისუფლად არის ჩაკილული მეტალური ცილინდრული ლილგაგი, რომლის ზედა და ქვედა ნაწილი კონუსურია. სამაგრი 7-ის საშუალებით იგი შეიძება თავისუფლად მოცილებული იყოს ჭიქისაგან, სადაც ჩატვირთულია საკვლევი ნივთიერება. ეს ლილგაგი დაკაგშირებულია მზომ მექანიზმთან, რომელიც დამაგრებულია შტატიგზე-8. საკვლევი ხსნარის ბრუნვისას ლილგაგის მოძრაობა გადაეცემა მზომ ხელსაწყოს და ხდება გაზომვა. ხელსაწყო დაგრადუირებულია სტანდარტული ხსნარის სიბლანტის მნიშვნელობით. საკვლევ მასისათვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებისათვის ჭიქებს შორის (4-5) ჩასხმულია წყალი საჭირო ტემპერატურის.



რეუტოგის გისკოზომეტრის  
სქემა

**ჭიქურისა და კამფეტის რაოდენობრივი თანაფარდობა  
შოკოლადით მოჭიქულ კამფეტში**

კამფეტის მასისა და შოკოლადის ჭიქურის რაოდენობრივი (%) თანაფარდობის დასადგენად წონიან რამოდენიმე ათეულ კამფეტს, რომელიც უნდა მოჭიქურდეს, ამის შედეგ მათ უშვებენ მოსაჭიქურებელ მანქანის ქვეშ, აჭიქურებენ და წონიან.

შოკოლადის ჭიქურის პროცენტული შემცველობა გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{(b - a)100}{b}$$

სადაც,  $a$  - კორპუსების წონაა, მოჭიქურებამდე, გ.

$b$  - კორპუსების წონაა, მოჭიქურების შემდეგ

**პომადის მასისა და კამფეტის პომადის  
კორპუსის მომზადება**

სამუშაოს მიზანია რეცეპტურის გაანგარიშება,  
პომადის მასის მომზადება, კორპუსის მომზადება

რეცეპტურა პომადის კორპუსიანი კამფეტისათვის

ნედლეული	მშრალი ნიგო, მასური წილი %,	ნედლეულის ხარჯი			
		1 ტონა პომადა, 1 კგ		ერთ ჩატვირთვაზე, გ.	
		ნატურაში	მშრ. ნიგო.	ნატურაში	მშრ. ნიგო.
შაქარი ბადაგი	99.85 78	635.99 104.63	35.73 81.63	200 ---	ანგარიშ. ---
სულ გამოსაგალი	91.0 1000	914.62 910.0	917.34 910.0	---	---

ვწონით შაქარს, გხსნით 50-60 გრამ წყალში და გაცხელებთ ალუმინის ჯამში. შაქრის სირთფს ვუმატებთ ბადაგის განსაზღვრულ რაოდენობას, პომადის სირთფს გხარშაგო  $110-120^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე და წყლის აბაზანაზე გაციფებთ  $35-40^{\circ}\text{C}$ -ტემპერატურაზე. გაციებული სირთფი გადაგვაქვს სადღვებ მანქანაში და გაწარმოებთ დღვებას თეთრი კრისტალური მასის წარმოქმნამდე.

პომადის 11 გ-ს გიტოვებთ მისი ფიზიკო ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, დარჩენილ მასას გაცხელებთ  $65-70^{\circ}\text{C}$  მდე, ვუმატებთ გემოვნებით არომატულ ნივთიერებებს, გურევთ, გასხამთ წინასწარ მომზადებულ სახამებლის უჯრედებში. ამ მიზნით წინასწარ ვავსებთ ხონჩებს გამომშრალი სახამებლით (5-9% სინესტით). ზედაპირს ვასწორებთ სახაზაგით და ნის შტამპებით ვაკეთებთ ფორმებს, რიგებს შორის 6-8 სმ დაშორებით. პომადის მასის ჩამოსხმის შემდეგ ხონჩებს ვაყოვნებთ კამფეტის კოპრუსის გამაგრებამდე. მზა კორპუსებს ამოვიდებთ და ვწმენდო ჯაგრისით ზედმეტი სახამებლისაგან. ვამოწმებთ მის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს.

### თემა III.

#### ხილ-კენკროგანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

ძირითადი უბნები მარმელადის, პასტილის და ზეფირის წარმოებისა, სადაც ხდება  
კონტროლი.

კონტროლის ობიექტები	კონტროლის სიხშირე	კონტროლის სახეები
1	2	3
<u>მარმელადის წარმოება:</u>		
ნედლეული, რომელიც შემოდის წარმოებაში: შაქარი და ბადაგი	ეს ნედლეული მოწმდება იმავე მაჩვენებლებზე, იმავე სიხშირით, იმავე მეთოდებით, როგორც განხილული იყო რძიანი კამფეტის წარმოებისას	
ხილ-პენკროგანი პიურე და პულპა	ყოველი პარტია	სუნი, გემო, კონსისტენცია მშრალი ნიგთიერებების შემცველობა, მუავიანობა, მექანიკური მინარევების შემცველობა, სინჯი უელუს წარმოქმნაზე.
აგარი, აგაროიდი, პექტინი პიურეს მასის მომზადება: კუბაჟი	ყოველი პარტია	მაუელირებელი უნარი, ლაბის სიმტკიცე
მარმელადის მასის ხარშვა: მოხარშული მასა მარმელადისა	ყოველი პარტია	მშრალი ნიგთიერებების შემცველობა. სინჯი უელირებაზე
	ცვლაში 3-4 ჯერ	მშრ. ნიგთიერებების შემცველობა. რედუც. ნიგთ.შემცველობა

1	2	3
შზა მარმელადი ფაშლის	ყოველი პარტია პერიოდულად	შშრ. ნივთიერებების შემცველობა. რედუც. ნიგთ.შემცველობა მუავიანობა  გოგირდის ანპიდრიდის (თაგისუფალი) განსაზღვრა. 1. კგ.ში ცალობითი რაოდ. გემოგნებითი თვისებები, კონსისტენცია, მექანიკური მინარევების შემცველობა.
ჟელეს მარმელადი	ყოველი პარტია	შშრალი. ნიგთ.შემცველობა. რედუც. ნიგთ.შემცველობა მუავიანობა. 1 კგ.-ში რაოდენობა ცალობით, გემო, სუნი, ფერი, კონსისტენცია. მექანიკური მინარევების შემცველობა.
ნედლეული, შემოსული წარმოებაში: შაქარი, ბადაგი, ხილ- გენკროვანი პიურე, აგარი, პექტინი, კუპაჟი	<u>პასტილასა და ზეფირის</u> <u>წარმოება:</u>	ეს ნედლეული მოწმდება იმავე მაჩვენებლებზე, იმავე სიხშირით, იმავე მეთოდებით, როგორც განხილულია მარმელადის წარმოებაში.
აგარის წებოს მომზადება აგარის წებო შედღვებილი პასტილის მასა	ყოველი პარტია 2-3 ჯერ ცვლაში რამოდენიმეჯერ ცვლაში	შშრალი ნიგთ. შემცველობა მუავიანობა  შშრალი ნიგთ. შემცველობა (ერთეული წონის მოცულ.)

1	2	3
მზა ნაწარმი: პასტილა, ზეფირი	ყოველი პარტია	შშრალი ნიგთ-ის შემცველობა, მუავიანობა, რედუცირებული ნიგთ. შემცველობა, 1 ქგ-ში რაოდენობა ცალობით, სუნი, გემო, ფერი, კონსისტენცია, მექანიკური მინარევების შეცველობა $SO_2$ -ის (თავისუფალი) შემცველობა, სიმკგრივე.

## გაშლისა და ატმის პიურეს მაჟელირებელი თვისებების განსაზღვრა

გაშლის პიურე, რომელიც შეიცავს 90% წყალს (სინესტე) და შაქრის ფხვნილი იწონება 100-100 გრამის ოდენობით სტანდარტული სპილენძის ქვაბში, ქვაბი წაგვეთილი კონუსური ფორმისაა, მცირე ფართის ფუძით (ქვემოთ), მისი წონა წინასწარ ცნობილია. დიდი ფუძის დიამეტრია 115 მმ, ქვედა მცირე ფუძის დიამეტრია 75მმ, სიმაღლე-70მმ მუდმივი მორევის პირობებში აწარმოებენ პიურეს ხარშვას მაღალ ცეცხლზე 15 წო-ის განმავლობაში. ხარშვის დამთავრებისას ქვაბის პედლებზე შეიმჩნევა თხელი კანი - მიკრული, რომელიც შორდება ამ მასას. გამოსავალი უნდა იყოს 165 გრ (იწონება მასა ქვაბიანად) თუ გამოსავალი მეტია, მაშინ აგრძელებენ მის ხარშვას ნელ ცეცხლზე. შეხარშული მასა თავსდება მარმელადის ფორმებში ან ბრტყელძირა ზედაპირზე, რომლის  $D=20-30\text{სმ}$  დასხმის დროიდანგე იწყებენ დროის ათვლას უელირების დამთავრებამდე, რომელსაც ამოწმებენ თითების შეხებით და მსჯელობენ უელეს თვისებებზე: სიმტკიცეზე, წებვადობაზე, ფორმიდან თავისუფლად ამოგდებაზე, ფორმის შენარჩუნების უნარზე.

გაშლის პიურეს მაჟელირებელი თვისება ნორმალურად ითვლება, თუ უელირება მოხდა 15-20წო-ში, ეს თვისება ეკუთვნის იმ პიურეს, რომელიც შეიცავს 10% მშრალ ნიგთიერებებს და 90% წყალს.

ატმის პიურესათვის იღებენ 100 გრამ ატმის პიურესა და 125 გრამ შაქარს. წინასწარ აწონილ სტანდარტულ ქვაბში ხდება ხარშვა აღუდებამდე, აღუდებენ, გიდრე ტემპერატურა არ მიაღწევს  $108^{\circ}\text{C}$  -ს, რის შემდეგაც წონიან ქვაბს, გამოსაფალი უნდა იყოს 170 გრამი. გადაიტანენ მასას ფორმებში. სინჯი ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ ფორმებიდან (ფაიფური, ფილტრები, თეფშები და სხვა) ამოღებული თხელი ფენა არ იქმნება შესამჩნევლად მუქი, ადგილად აერთმევა ჭურჭელს, ინარჩუნებს ფორმას, არ იქნება წელვადი და წებგადი.

**ამოცანა:** რა რაოდენობის წყალი უნდა დაუმატოთ გაშლის პიურეს, რომელიც 11,5% მშრალ ნიგოზებებს შეიცავს, რომ საერთო რაოდენობა მშრალი ნიგოზებების იყოს 10%.

100 გრამი პიურე 22 11,5 გრამი მშრ. ნიგო.

Х გრამი პიურე 22 10,0 გრ. მშრ. ნიგო.

$$x = \frac{100 \cdot 10}{11,5} = 87 \text{ გრ}$$

87 გრამ პიურეს ბლიუს 13 გრამი  $H2O$ , მიგიღებთ პიურეს, სადაც მშრალი ნიგოზებებია 10%.

### მარმელადის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა

მარმელადის შეფასება ხდება ორგანოლეპტიკურად - შემდეგი მონაცემებით:

გემო, სუნი, ფერი - მკვეთრად გამოხატული, თითოეული სახეობისათვის დამახასიათებელი, უცხო სუნისა და გემოს გარეშე.

ანატეხის ორგანოლეპტიკური შეფასება - მარმელადის ანატეხი უნდა იყოს სუფთა, ერთგვაროვანი. უელეს მარმელადი აგარზე - დამახასიათებელია გამჭვირვალე ფენა, მინისებური ანატეხით მარმელადი პექტინის, აგაროიდის და ფურცელარანის 2 ფუძეზე დასაშვებია ნახევრადგამჭვირვალე, ოდნავ ამღვრეული ფენა, ანატეხი არ არის მინისებური.

კონსისტენცია - ხილ-კენკროვანი მარმელადისათვის ლაბისმაგვარი, (დანით იჭრება) უელეს მარმელადის ყველა სახეობისათვის 2 ოდნავ წელვადი.

ფორმა და გარეგნული შეხედულება 2 სწორი, გამოკვეთილი ნახატით და მკვეთრი კონტურით. ზედაპირისა და გარეგანი მდგომარეობა - ხილ-კენკრის მარმელადისათვის 2 წვრილკრისტალური, ელასტიური, მბრწყინავი. დასაშვებია ოდნავ მქრაქლი გარეგანი. უელეს მარმელადის ზედაპირზე თანბრად მოყრილია წვრილკრისტალური შაქრის ფენილი.

დაკვირვება უნდა მოხდეს სხვადასხვა ასორტიმენტის მზა პროდუქციაზე

### მარმელადის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა

აქ საჭიროა განისაზღვროს მარმელადის ტიტრული მუავიანობა, რედუცირებული შაქრების რაოდენობა, სინესტე, ლაბის სიმტკიცე.

რედუცირებული შაქრების შემცველობა განისაზღვრება კარამელის მასაში რედუცირებული შაქრების შემცველობის ანალიზიურად, ამ განსახვაგებით, რომ ჯერ უნდა მოვახდინოთ მისი ხსნარიდან არაშაქრების დალექვა, რისთვისაც წონაკს ვხსნით თბილ, გამოხდილ წყალში ( $60^{\circ}\text{C}$ ), გადაგვაქვს 200-250 მლ მოცულობის კოლბაში, მასში ხსნარის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150 მლ. შემდეგ კოლბას გათავსებთ ( $60^{\circ}\text{C}$  წყლის აბაზანაზე, ამ ტემპერატურას ვინარჩუნებთ 15 წთ, ხსნარის უწყვეტი შენჯლრევით. ვაცივებთ ხსნარს, გუმატებთ 10-15 მლ თუთიის სულფატის ხსნარს, ვანჯლრევთ, მივიყვანთ ჭდემდე და ვაყოფნებთ ნალექს კოაგულირების მიზნით, რამდენიმე წთ-ით. ვფილტრავთ ქაღალდის ფილტრით მშრალ, ბრტყელძირიან კოლბაში, ფილტრატს ვიყენებთ შაქრის შემცველობის განსაზღვრისათვის.

თუთიის დამლექავი შედგება ორი რეაქტივისაგან:

145 გრ კრისტალური  $\text{ZnSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$  იხსნება წყალში და იგსება ჭდემდე 1000 მლ-მდე. 40 გრამი  $\text{NaOH}$  ან 56 გრამი  $\text{KOH}$  იხსნება წყალში და მიღებული იგსება ჭდემდე 1000 მლ-მდე. თავიდანვე საკვლევ ხსნარს უმატებენ  $\text{ZnSO}_4$ -ს ( $10-15\text{მლ}$ )

შემდეგ კი ტუტის ხსნარს გუმატებთ ფრთხილად. იმისათვის რომ განვსაზღვროთ ტუტის რაოდენობა, საჭიროა ჩავატაროთ ყრუ ცდა: ცარიელ კოლბაში გიღებთ 10-15

მლ თუთიის სულფატის ხსნარს, გუმატებთ 50მლ დისტილირებულ წყალს, რამოდენიმე წელ ფენოლფტალეინს, პიპეტით გიღებთ გარკვეული რაოდენობის  $NaOH$ -ის ხსნარს და ფრთხილად გუმატებთ ამ ხსნარს – ნალექის წარმოქმნამდე გიდრე ხსნარი არ შეიღებება ღია გარდისფრად, გითვლით  $NaOH$ -ის მლ-ის რაოდენობას.

## გაშლის ფორმიანი მარმელადის მომზადება (ბუნებრივი მარმელადი)

პირველ რიგში გამზადებთ რეცეპტურულ ნარეგს გაშლის პიურეს, ნატრიუმის ლაქტატის (პიურეს მუავიანობის მიხედვით), შემდეგ შაქრისა და ბადაგის დამატებით, მიღებულ ნარეგს გათავსებთ ალუმინის ჯამში და გხარშაგთ  $106-108^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 67-69% მშრალი ნიგოჟერებების შემცველობამდე. (ხარშვის კონტროლს გაწარმოებთ მარმელადის მასის ტემპერატურისა და სინესტის მიხედვით. მოხარულ მასას გუმატებთ მღებავ და გემოგნებით ნიგოჟერებებს, გურევთ ინტენსიურად და გასხაგთ ლაბორატორიულ პირობებში ფორმებში, გტოვებთ ოთახის ტემპერატურის პირობებში ( $20^{\circ}\text{C}$ ) და თვალყურს გადევნებთ დაღაბების პროცესს. გინიშნავთ დალაბების ხანგრძლივობას. დალაბების შემდეგ გიღებთ ფორმებიდან და გაშრობთ  $60-65^{\circ}\text{C}$ , ტემპერატურის მქონე პაერის შებერვით 22-25% საბოლოო სინესტის მქონე მზა ნაწარმის მიღებამდე. მიღებულ ნაწარმს გამოწმებთ ორგანოლეპტიკურად (გემო, სუნი, კონსისტენცია, ფორმა), ფიზიკო-ქიმიურად – (სინესტე, მუავიანობა, მარედუცირებელი ნიგოჟერებების შემცველობა.)

**რეცეპტურა „გაშლის ფორმიანი მარმელადისათვის“**

ნედლეული	მშრალი ნიგთ.%	ნედლეულის ხარჯი 1 ტ.ნაწარმზე		ნედლეულის საერთო ხარჯი მარმელადის მომზადებაზე 100 გრამი შაქრიდან	
		რაოდენობა, კგ	მშრ. ნიგთ. გგ.	რ-ბა გრამი	მშრ. ნიგთ. გრ
შაქრის ფხვნილი	99.85	693.5	692.5	00	ანგ.
ბადაგი	78.0	31.0	24.2	ანგ.	
გაშლის პიურე	10.0	865.0	86.5	ანგ.	
ხილ-კენკრის ესენცია		0.4		--	
გაშლის ესენცია		0.25		--	
სხვადასხვა საღებავები		0.40		--	
ლიმონის მუჟა	40.0	0.25	2.1	--	
სულ		1595.80	805.3	--	
გამოსაფალი	79.0	1000.0	970.0	--	

## უელეს (ხელოვნური) მარმელადის მომზადება

რეცეპტურა უელე (ხელოვნ.) მარმელადისათვის

ნედლეული	მშრ. ნიგთ, მასური წილი%	ნედლეულის ხარჯი 1 ტ. მზა ნაწარმი კგ		ნედლეულის საერთო ხარჯი მარმელადის მომზადებაზე	
		რ-ბა, კგ	მშრ. ნიგთ.კგ	რ-ბა	მშრ.ნიგთ.
შაქრის ფხვნილი მოსაყრელად	99.85	86.6	86.5	ანგ	ანგ
შაქრის ფხვნილი შელექი	99.85	710.9	717.0	100	99.85
გამლის პექტინი	92.0	18.0	16.6	ანგ	ანგ
სხვადასხვა ესენცია		1.6		--	--
სხვადასხვა საღებავი		0.6		--	--
ლიმონის მჟავა	98.0	12.0	11.8	--	--
ნატრიუმის ლაქტატი	40.0	10.0	4.0	--	--
სულ გამოსაგალი	82.0	847.7 1000.0	836.7 820.0		

--	--	--	--	--


მომზადება ხდება შემდეგნაირად: პექტინი მშრალი სახით წინასწარ უნდა შეურითო თრჯერადი თდენობის შაქრის ფხვნილს, რათა წყალში გახსნის შედეგ მოხდეს მისი თანაბარი დალაბება. 25-ჯერ მეტი თდენობის ციგ წყალში გურევთ პექტინ-შაქრის ნარევს, გროვთ სარეველას და 10 წთ-ის განმავლობაში გურევთ. შემდეგ ხსნარს ვტოვებთ 4 სთ-ის განმავლობაში (4-ჯერ პერიოდულად გურევთ), თუ უელეს მარმელადის რეცეპტურაში შედის აგარი ან აგარონდი, ის აუცილებლად უნდა დალაბეს ციგ წყალში 1-2სთ. გაჯირჯვებული აგარი გადაგვაქვს აღუმინის ჯამში, გხსნით წყალში, ვაცხელებთ, ვუმატებთ შაქარს და გხარშავთ 73-74% მშრალი ნივთიერებების შემცველობამდე, ხარშვის ბოლოს ვუმატებთ ბადაგს, მიღებულ სიროფს გაცივებთ 55-60°C გუმატებთ მჟავას, ესენციას.

ასეთნაირად მომზადებულ პექტინ-შაქრის წყალსხნარს ვუმატებთ შაქრის დარჩენილ რაოდენობას, ვამატებთ წყალს (მშრალი ნივთიერებების შემცველობა უნდა იყს 42-45%) და გხარშავთ აღუმინის ქვაბში 70-71% მშრალი ნივთიერებების შეცველობამდე. ხარშვის შემდეგ ვუმატებთ საღებავებს, ესენციებს, მჟავას, გურევთ, 76-80°C ტემპერატურის მასას, ვასხამთ ფორმებში, ვაყოვნებთ 15-18 წთ 20-30 °C-ის პირობებში და ვიღებთ ფორმებიდან, ვავლებთ შაქარში და ვაციებთ (ვაშრობთ) 55 °C ტემპერატურაზე.

მზა მარმელადს ვამოწმებთ თრგანოლეპტიკურად და ფიზიკო-ქიმიურად.

## პასტილისა და ზეფირის სიმკერივის განსაზღვრა

პასტილისა და ზეფირის სტრუქტურის მდგომარეობაზე (ფორიანობა, გაფუება ისიანისტები) მსჯელობენ მისი სიმკერივის მიხედვით, კარგად გათქვეფილი ზეფირის მასა მცირეა, ვიდრე ცუდად გათქმებილისა. მეთოდი ემყარება საკვლევი პროდუქტის მოთავსებას გარკვეული მასის ხსნარში და ამ ხსნარით მოცულობის ნაზრდის გამოთვლას. ხსნარის სახით გამოყენებული შეიძლება იყოს ტოლული, ქსილოლი, ქლოროფორმი,  $CCl_4$  და სხვა. სიმკერივის გასაზომად გამოიყენება სოსნოვსკის ხელსაწყო.



სოსნოვსკის ხელსაწყო.

ავსებენ ცილინდრს ხსნარით ისე, რომ იგი გადავიდეს 10<sup>5</sup>-ის განმავლობაში ბიურეტში და გადმოედინოს მზომ ჭიქაში. ცილინდრის ზემოდან საათის მინას ახურავენ. ბიურეტში ინიშნავენ სითხის რაოდენობას. ამის შემდეგ ფრთხილად ათავსებენ ცილინდრში საკვლევ პროდუქტს (რომელიც წინასწარ აწონილია 0.01 გრამი სიზუსტით), რის შემდეგაც ფრთხილად უშვებენ მასში მყვინთავ „დგუშს“ იკუმშება სითხე და თავისუფლად გადმოედინება ბიურეტში 10 წთ-ის განმავლობაში, ითვლიან გადმოდინებული სითხის რაოდენობას.

საკვლევი ნიგოიერების სიმკვირვე  $D$  ( $\text{g}/\text{ს}^3$ )  
გამოითვლება ფორმულით:

$$D = \frac{g}{V_1 - V_2}$$

სადაც,  $V_1$  - სითხის მოცულობაა, რომელიც გამოდევნა საკვლევმა ნიგოიერებამ მყვინთავით,  $\text{ს}^3$

$V_2$  - სითხის მოცულობაა, გამოდევნილი მყვინთავით  $\text{ს}^3$

$g$  - საკვლევი ნიგოიერების (მარმელადი, პასტერი) წონა, გრამი

#### IV თავი. შოკოლადისა და კაკაოს ფხვნილის წარმოება

ძირითადი უბნები შოკოლადისა და კაკაოს ფხვნილის წარმოებისა, სადაც  
ხდება კონტროლი

კონტროლის სახეები	კონტროლის სიხშირე	კონტროლის სახეები
1	2	3
<p>ნედლეული, რომელიც შემოდის წარმოებაში:</p> <p>კაკაოს მარცვლები და თხილის, კაკლის ნაყოფი შაქარი ფხვნილი და შაქარი ფქვილი</p> <p>ცხიმი და კარაქი რძე მშრალი გამათხევადებლები</p> <p>კაკაოს მარცვლებისა და თხილის, კაკლის ნუშის ნაყოფის მოხალვა მარცვლების დაღერღვა:</p> <p>კაკაოს დაღერღილი მასა შოკოლადის მასა, ბოლო გალცირების შემდეგ მზა შოკოლადები</p> <p>მზა კაკაოს ფხვნილი</p>	<p>ყოველი პარტია</p> <p>ყოველი პარტია</p> <p>--</p> <p>--</p> <p>--</p> <p>ცვლაში არა ნეკლებ 3-ჯერ</p> <p>3-ჯერ ცვლაში</p> <p>ცვლაში 2-ჯერ</p> <p>ცვლაში ერთხელ</p> <p>თითოეული სახეობისთვის</p> <p>ცვლაში 1-ჯერ</p> <p>პერიოდულად</p>	<p>გარე სახე, გემოვნებითი მაჩვენებელები</p> <p>გემო, სუნი, მექანიკური მინარევ. რაოდენობა</p> <p>გემო, სუნი</p> <p>გემო სუნი</p> <p>გემო, სუნი, კონსისტენცია გათხევაოდბის უნარი</p> <p>მოხალვის ხარისხი, გარე სახე, სუნი, გემო</p> <p>გაგაგელათი დანაგვიანება დაწილადების ხარისხი</p> <p>გემო, სუნი, გარე სახე, დაწილადების ხარისხი, ერთი შოკოლადის მასა.</p> <p>სინესტე, გემო, სუნი, ფერი, მშრალი ნიგო.</p> <p>შემცველობა, დაწილადების ხარისხი, ფერომინარევების რაოდენობა</p>

## **შოკოლადის დაწილადების ხარისხის განსაზღვრა**

უმარტივესი ხერხია შოკოლადის დაწილადების ხარისხის განსაზღვრის მასური მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ცხიმ გამოცლილი დაწილადებული შოკოლადის მასის გაცრით წერილ აბრეშუმის №60 საცერტი. კარგად დაწილადებული შოკოლადი არ ტოვებს საცერტე ნარჩენს, ეს მეთოდი გამოირჩევა დიდი სიზუსტით, როცა იყენებენ პეტროლეინის ეთერს. ეს სიდიდე გამოისახება %-ებში, შოკოლადის ხარისხი ხასიათდება დაწილადების ხარისხით, ეს უკანასკნელი – შოკოლადის შემადგენელი ნაწილების (შაქარი, კაკაოს მარცვლები, კაკაო) დაწილადების ხარისხით.

## **გამათხევადებლების გათხევადების უნარის განსაზღვრა**

შოკოლადის მასის სიბლანტის შემცირებისა და კაკაოს ცხიმის დანახარჯის შემცირების თვალსაზრისით შოკოლადის წაროებაში გამოიყენება ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები – გამათხევადებლები: ლუციტინი წარმოადგენს რთულ თრგანულ ნაერთს, შედის მცენარეული ცხიმების შემადგენლობაში ფოსფატიდები მიიღება მცენარეული ცხიმების რაფინირებისას, როგორც ნარჩენი. სინთეტიკური ემულგატორები - გიდროფილური ლიპიდები პოლიგლიცერინზე. მათი შეყვანით 0.2-0.4% -ის ოდენობით შოკოლადის მასასთან შედარებით, შოკოლადის მასის სიბლანტე იკლებს კაკაოს ცხიმის დამატების გარეშე.

ნებისმიერი გამათხევადებლების გათხევადების ხარისხის დასადგენად იყენებენ გისკოზომეტრს. (იხ. შოკოლადის ჭიქურის სიბლანტის განსაზღვრა).

გამათხევადებლების კვლევისას იღებენ დაახლოებით 500 გრამ შოკოლადის მასას და 40-50°C-ზე ენერგიულ მორევას აწარმოებენ 10-15წთ. ამის შემდეგ გისკოზომეტრის ჭიქაში წონიან 250 გრ შოკოლადის მასას და 40 °C-ზე აწარმოებენ სიბლანტის განსაზღვრას (საწყისი). ამის შემდეგ ცალკე წონიან გამათხევადებელს

ლეციტინს 1 გ (0.4%) ან ფოსფატიდს 0.75 გრამი (0.3%), ან გიდროფელურ ლიპიდს 0.75 გრამი (0.3%) და შეაქვთ შოკოლადის მასაში, კარგად ურევენ კოვზით და საზღვრავენ სიბლანტეს 40-°C ზე. საწყისი 0<sub>1</sub> სიბლანტისა და 0<sub>2</sub> სიბლანტის (შოკოლადის მასა გამათხევადებლებთან ერთად) შეფარდებით ხასიათდება გამათხევადებლის გათხევადების უნარი (განყენებული რიცხვი).

პრაქტიკულად უკეთესია და მოხერხებულია, თუ გათხევადების უნარს გამოვსახავთ % -ში კაკაოს ცხიმისა, რომელიც უნდა დაემატოს შოკოლადის მასას, რათა შეამცირეთ საწყისი სიბლანტე იმ სიბლანტემდე, რომელსაც იძლევა შესაბამისი გამათხევადებელი.

ასეთ შემთხვევაში ჭიქაში (100 მლ მოცულობის) ათავსებენ 20-30 გრამ კაკაოს ცხიმს და წონიან 0.01 გრამი სიზუსტით. ამის შემდეგ ვისკოზომეტრის ჭიქაში 250 გრამ შოკოლადის მასათან ერთად 40-°C ზე შეყავთ 40-45°C ზე გამობარი კაკაოს ცხიმი პატარა ულუფებად და ყოველი შეყვანის შემდეგ საზღვრავენ სიბლანტეს, მანამ ვიდრე მისი სიბლანტე არ გაუტოლდება იმ სიბლანტეს, რომელსაც იძლევა გამათხევადებლის შეყვანა. ამის შემდეგ წონიან ჭიქას კაკაოს ცხიმით და სხვაობით იგებენ კაკაოს ცხიმის იმ რაოდენობას, რომელიც დაიხარჯა 250 გრამი შოკოლადის მასის გათხევადებაზე. კაკაოს ცხიმის ეს რაოდენობა გამოისახება %-ებში, გამოხატავს გამოსაკვლევი გამათხევადებლის გათხევადების ხარისხს. ზუსტი რეზულტატის მისაღებად ყოველი ულუფა კაკაოს ცხიმის დამატებისას, საჭიროა მასის ენერგიული მორევა და 40°C-ზე სიბლანტის განსაზღვრა.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ გგსურს ფოსფატიდის (ნედლი ლეციტინის) გათხევადების უნარის დადგენა. მისი ოპტიმალური დოზაა 0.3%.

შოკოლადის მასის საწყისი სიბლანტე (განსაზღვრით) ვთქვათ არის 30 6.წმ/მ<sup>2</sup>, ხოლო სიბლანტე ფოსფატიდის (250 გრ შოკოლადზე აღებულია 0.75 გრ ფოსფატიდის) არის 14 6.წმ/მ<sup>2</sup>. იმისათვის, რომ მივიღოთ იმავე სიბლანტის შოკოლადის მასა, 250 გრამ შოკოლადის მასას ულუფებად დაემატა (ვთქვათ, ცდით) 9 გ კაკაოს ცხიმი, მაშინ გათხევადების ხარისხი:

$$250 \text{ გრ } \text{შოკ} \quad ----- \quad 9 \text{ გრ } \text{კაკაოს } \text{ცხიმი}$$

$$100 \quad ----- \quad X$$

$$X=3.6\%$$

ანუ ყოველ 1 ტონა შოკოლადის მასაზე შესაძლებელია ეკონომიური ეფექტი 36 გგ კაკაოს ცხიმის სახით.

## ცხიმის დნობის ტემპერატურის განსაზღვრა (შოკოლადში გამოყენებული ცხიმებისათვის)

განასხვავებენ დნობის საწყის და საბოლოო ტემპერატურას. დნობის ტემპერატურის განსაზღვრისათვის იყენებენ მინის კაპილარებს 50-60მმ სიგრძით და შიგა დიამეტრით 1.5მმ.

ცხიმის მცირე რაოდენობას ათავსებენ ფაიფურის ჯამში და წყლის აბაზანაზე  $50^{\circ}\text{C}$ -ზე ადნობენ, ეს მასა შეყავთ კაპილარში ისეთი რაოდენობით, რომ მილის სიმაღლე დაიფაროს  $\approx 10$ მმ-ით. კაპილარს ცხიმით ათავსებენ ყინულში და აჩერებენ 10 $^{\circ}\text{C}$ -ს, რის შემდეგაც აჩერებენ ოთახის ტემპერატურაზე ( $\approx 20^{\circ}\text{C}$ ) მთელი დღე-დამის განმავლობაში. ამის შემდეგ კაპილარს ამაგრებენ თერმომეტრზე რეზინის რგოლებით ისე, რომ თერმომეტრის ბურთულა და კაპილარის ცხიმი იყვნენ ერთ დონეზე, ამ თერმომეტრს კაპილარით ათავსებენ მინის თავსახურიან სინჯარაში, რომელსაც ჩადგამენ ჭიქაში წყლით  $20^{\circ}\text{C}$ . მუდმივი შენჯდრევით წყალს აცხელებენ ჭიქაში, თავიდან  $2^{\circ}\text{C}$ -ით უმატებენ ტემპერატურას, ხოლო დნობის ტემპერატურასთან მიახლოებისას  $1^{\circ}\text{C}$ -ით. ითვლიან დნობის ორ წერტილს, დნობის საწყის ტემპერატურას, როცა ცხიმი სცილდება კედლებს და დნობის დამთავრების ტემპერატურას, როცა დადგება ცხიმის მთლიანად გადნობის დრო.

## ცხიმის გამყარების ტემპერატურის განსაზღვრა

ცხიმის გამყარების ტემპერატურის დასადგენად იყენებენ უკოგის ხელსაწყოს, რომელიც წარმოადგენს მინის ორმაგპედლიან ჭურჭელს, თავისუფალი სიგრციდან გამოდევნილია ჰაერი წყლის ტუმბოთი.

გამდნარი ცხიმი, რომლის ტემპერატურა  $50^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია, თავსდება ხელსაწყოში იმდენი რაოდენობა, რომ დაიფაროს ხელსაწყოს მოცულობის 1/3

0.1-0.2°C; თერმომეტრი ეხება ცნიმს - მისი მასის შეა ნაწილამდე. სელსაწყოს ფრთხილად აბრუნებენ (ძირით ზემოთ — ქემოთ) აკვირდებიან ტემპერატურის ცვლილებას ყოველ ორ წთ-ში როგორც კი დაიწყებს ცნიმი დაბურვას, სელსაწყოს იმ წამსვე ათავსებენ წყალში, რომელსაც აქვს მუდმივი ტემპერატურა ( $20^{\circ}\text{C}$ ) და ერთი წთ-ის შემდეგ აითვლიან ტემპერატურას.

### **სელსაწყო ცნიმის გამყარების**

#### **ტემპერატურის**

#### **განსაზღვრსათვის**



ცნიმის დნობისა და გამყარების ტემპერატურის განსაზღვრისათვის თანამედროვე პირობებში იყენებენ სელსაწყოს კალირიმეტრს.

### **კაკაოს ფხვნილის მუაფიანობის განსაზღვრა**

2-3 გრამი კაკაოს ფხვნილი, აწონილი სიზუსტით 0.01 გრამი, უნდა გაისრისოს ფაიფურის ჯამზე 25 მლ ცხელ გამოხდილ წყალთან ერთად. ამის შემდეგ ეს მასა გადააქვთ 250 მლ-იან მზომ კოლბაში, კარგად ხსნიან მასში, ავსებენ ნიშნულამდე წყლით, აციებენ, ფილტრავენ. იღებენ ფილტრატიდან 50 მლ-ს, გადააქვთ კონუსურ კოლბაში მოცულობით 750 მლ, უმატებენ 450 მლ გამოხდილ გადადუდებულ წყალს და ტიტრავენ  $0.1 \text{ N}$  მწვავე ტუტით.

მუაგიანობას %-ებში საზღვრავენ ფორმულით:

$$x = \frac{Kn.250.100}{50g.10} = \frac{Kn.50}{g}$$

სადაც  $k$ - ტუტის შესწორების კოეფიციენტია

$n$ - 0.1 N ტუტის რაოდენობა, დახარჯული გატიტგრაზე.

$g$ - ფხვნილის მასა, გრამი.

### შაქრების განსაზღვრა რძიან შოკოლადში

მეთოდი ემყარება იოდით უანგვას. ინგერსიამდე იოდი უანგვს ლაქტოზას, ხოლო ინგერსიის შემდეგ გლუკოზას (ინგერტული შაქრის) და გლუკოზას (ინგერტინებული ლაქტოზის).

10 გრამი წვრილად დათლილი შოკოლადი (რძიანი) წყალში უნდა გაიხსნას ჟიმიურ ჭიქაში (250მლ). წყლის ტემპერატურა  $50^{\circ}\text{C}$ . მიღებული მასა გადააქვთ 500 მლ მოცულობის მზომ კოლბაში, ჭიქას ჩარეცხავენ წყლით. (წყლის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200-250 მლ-ს). უმატებენ 10 მლ სპილენძის სულფატის ხსნარს (ფელინგი I.- 69,28 გრამი გადაკრისტალებული  $CuSO_4 \cdot 5H_2O$  1 ლ წყალში) და 4 მლ 1 N  $NaOH$ .

მიღებული ხსნარი მიჰყავთ ნიშნულამდე კოლბაში, 10-15 წთ-ის შემდეგ ფილტრავენ, მშრალ კოლბაში. 1 მლ ფილტრატისა შეესაბამება 0.02 გრამ საკგლევ შოკოლადს.

## შაქრების განსაზღვრა ინგერსიის შემდეგ

25 მლ ფილტრატი (რომელსაც შეესაბამება 0.5 გრამი შოკოლადი). პიპეტით შეაქვთ კონუსურ 250 მლ-იან კოლბაში, უმატებენ 2.5 მლ  $HCl$  (120 მლ  $HCl$  სიმკგირიგით 1,19 200 მლ წყალზე), ურევენ, აცხლებენ წყლის აბაზანაზე 67-69°C-ზდე და ამ ტემპერატურაზე აჩერებენ 10 წთ. ამის შემდეგ სწრაფად აცივებენ, უმატებენ 1-2 წვეთ მეთილორანჟს (0.2 გრ მეთილორანჟი 100 მლ წყალში) და ანეიტრალებენ მიღებულ ხსნარს 1 N ტუტით სუსტ მჟავის რეაქციამდე. (ფერი გარდისფერიდან უნდა გადავიდეს ნარინჯისფერ-ყვითელში).

მიღებულ ხსნარს უმატებენ 25 მლ 0.1 N იოდის ხსნარს და მორევის პირობებში 37.5 მლ 0.1 N  $NaOH$ . ახურავენ კოლბას სახურავს და 20 წთ აჩერებენ ბნელში, რის შემდეგაც უმატებენ 8 მლ 0.5 N  $HCL$  და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ 0.1 N პიპოსულფიტით 1 მლ 1%-იანი სახამელბლის თანაობისას, რომელსაც უმატებენ გატიტვრის დასასრულისას, როცა ხსნარი ხდება ღია-ყვითელი.

## შაქრების განსაზღვრა ინგერსიამდე

ისევ იღებენ 25 მლ ფილტრატს, იმავე წესით მომზადებულს, როგორც ზემოთ იყო აღნიშული. უმატებენ 25 მლ 0.1 N იოდის ხსნარს და 37.5 მლ 0.1 N  $NaOH$ . 20 წთ-ის გაჩერების შემდეგ ბნელში, უმატებენ 8 მლ 0.5 N  $HCL$  და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ 0.1 N პიპოსულფიტის ხსნარით.

პარალელურად  $0,1 \text{ N}$  ითდისა და  $0,1 \text{ N}$  ჰიბოსულფიტის თანაფარდობის დასადგენად ატარებენ ყრუ ცდას იმავე მეთოდით, როგორც ზემოთ (შაქრების განსაზღვრა ინგერსიამდე). იღებენ 25 მლ წყალს, ნაცვლად 25 მლ ფილტრატისა.

გამოთვლა: ლაქტოზის რაოდენობა  $L (\%)$

$$L = \frac{(P - n) \cdot K \cdot 18,01 \cdot 500 \cdot 100}{25 \cdot 10 \cdot 1000} = (p - n)K \cdot 3,602$$

სახაროზის რაოდენობა  $S(\%)$ :

$$S = \frac{(n - m) \cdot K \cdot 17,1 \cdot 500 \cdot 100}{25 \cdot 10 \cdot 1000} = (n - m)K \cdot 3,42$$

სადაც,  $K$  - ჰიბოსულფიტის ნორმალობის კოეფიციენტია

$N$  - ჰიბოსულფიტის რაოდენობა, დახარჯული ითდის (ზედმეტის გატიტვრაზე) შაქრების განსაზღვრისას ინგერსიამდე,

$m$  - იგივეა, შაქრების განსაზღვრისას ინგერსიის შემდეგ.

$18,01$  - ლაქტოზის  $C_{12}H_{22}O_{11}H_2O$  - მილიგრამ ექვივალენტი.

$17,1$  - სახაროზის  $C_{12}H_{22}O_{11}$  - მილიგრამ ექვივალენტი.

უნდა გავითვალისწინოთ შესწორებები: მცირე რაოდენობა ითდის იხარჯება რძეში არსებულ სხვა ორგანულ ნივთიერებებზე, მათ შორის სახაროზის ჟანგვაზე.

ლაქტოზისათვის ეს შესწორება  $\approx 3\%$ , ხოლო სახაროზისათვის  $\approx 1\%$ , ეს მნიშვნელობები უნდა გამოვაკლოთ მიღებულ შედეგებს.

Վ տագո. Պյէցոլոցանո Տաշտոնդիტրու նա՞րմա

ძირითადი უბნები ფქვილოვანი საკონდიტორო  
ნაწარმის წარმოებისა, სადაც ხდება კონტროლი

კონტროლის ობიექტი	კონტროლის სიხშირე	კონტროლის სახეები
1	2	3
ნედლეული, რომელიც შემთდის წარმოებაში ხორბლის ფქვილი	<u>ფქვილოვანი საკონდიტრო</u> <u>ნამცხვრები</u>	
შაქრის ფხვნილი ან შაქრის პუდრა ბადაგი, ხილის ნამზადები და სხვა	ყოველი პარტია	მშრალი ნიგო. შემცველობა, ნედლი წებოგვარას შემცვ. მექანიკური და ფერომინარევების შემცველობა
ცხიმის გროველი	ცვლაში ერთხელ	ფერი და გარე მინარევების შეცველობა
ცხიმები, კარაქი მარგარინი	ყოველი პარტია	მშრ. ნიგო. შემცველობა. გემოვნებითი ოვისებები, მექანიკური მინარევების არსებობა
	ყოველი პარტია	გემო, სუნი

<b>კგერცხი და კგერცხის პროდუქტები</b>	<b>ყოველი პარტია</b>	<b>გემო, სუნი მშრ. ნიგორეგების შემცველობა</b>
<b>ინგერტული სირთფი</b>	<b>ყოველი პარტია</b>	<b>რედუც. ნიგო. შემცველობა</b>
<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>
<b>სხვადასხვა გულსართები</b>	<b>ცვლაში ერთხელ</b>	<b>მშრალი ნიგო. შემცველობა</b>
<b>ნაფხვენი</b>	<b>ცვლაში 3-4 ჯერ</b>	<b>გარე მინარევებისა ფერომინარევების შემცველობა</b>
<b>მარილის ხსნარი</b>	<b>ყოველი მომზადებული პარტია</b>	<b>ფარდობითი სიმპტომები</b>
<b>ცომი</b>	<b>ცვლაში ერთხელ</b>	<b>გემო, ცონსისტუნცია, სტრუქტურა, სინესტე.</b>
<b>მზა ნაწარმი</b>	<b>2-ჯერ ცვლაში</b>	<b>მშრალი ნიგო. შემცველობა, ფუძიანობა, შაქრისა და ცხიმის შემცველობა, გემო, სუნი, ფორიანობა, სტრუქტურა, გარე სახე.</b>
<b>ფქვილი, შაქრის ბუდრა, ცხიმები</b>	<u><b>ვაფლის წარმოება</b></u>	<b>მოწმდება იგივე მაჩვენებლებზე რაც აღნიშული იყო „ფქვ. საკონდ. ნამცხ.” წარმ.</b>
<b>კგერცხების გული</b>	<b>ყოველი პარტია</b>	<b>გემო, სუნი, მშრ. ნიგო. შემცვ.</b>
<b>ცომი</b>	<b>1-2 ჯერ ცვლაში</b>  --, --	<b>--, --</b>

გაფლის ფირფიტები	ერთხელ ცვლაში	---,--
მზა ნაწარმი	ერთხელ ცვლაში	გემო, სუნი, გარეგანი სახე, მუავიანობა, მშრ.ნიგთ.შემცველობა. მუავიანობა.

### **წებოგვარას განსაზღვრა ხორბლის ფქვილში**

25 გრამი ფქვილი უნდა მოგათაგსოთ ფაიფურის ჯამში და შეურიოთ ამ მასის 1/2 წყალი, ცომი იზილება ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ვაჩერებთ მას 30 წთ, ამის შემდეგ ცომს გათაგსებთ წყლიან ჭიქაში და ვიწყებთ ცომის გამორეცხვას, მანამ, გიდრე სახამებელი მთლიანად არ მოშორდება, ვამორეცხვის დადგენა შეიძლება ფერადი რეაქციით (ნარეცხი წყლის ითდით შემოწმებისას არ უნდა მივიღოთ ლურჯი ნალექი). გარეცხილ წებოგვარას ფრთხილად ვწურავთ ხელით და ვწონით 0.01 გრამი სიზუსტით, ამის შემდეგ ისევ გრეცხავთ, ისევ ვწონით, სხვაობა მასებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.05 გრამს. ვითვლით %-ულად ფქვილში წებოგვარას რაოდენობას. წებოგვარას ვამოწმებთ ორგანოლეპტიკურად: ფერი, ჭიმვადობა, ელასტიურობა. კარგი ფქვილი იძლევა ღია-ყვითელი ფერის წებოგვარას, მუქი ფერის წებოგვარა მიიღება ცუდი ფქვილისაგან. ჭიმვადობას საზღვრავენ წებოგვარას გაჭიმვით სახაზაგის გასწროვ. თუ იგი იჭიმება 20სმ-მდე, წყდება, მაშინ მისი ჭიმვადობა მცირეა, თუ წყვეტა ხდება წებოგვარას 30-35სმ გაჭიმვისას, მაშინ წებოგვარას ჭიმვადობა საშუალოა და თუ წყვეტა ხდება 80 სმ-მდე, მაშინ წებოგვარას ჭიმვადობა დიდია ელასტიურობის ქვეშ. იგულისხმება წებოგვარას თვისება გაჭიმვისას დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას. მაგარი წებოგვარა, რომელიც ეწინააღმდეგება გაჭიმვისას წყვეტას, ამავე დროს ელასტიურია, ახასიათებს ფქვილის კარგი პურცხობის უნარიანობას.

## **მარილის რაოდენობის განსაზღვრა მარილიან კარაქტერი**

მეთოდის არსი ემყარება შემდეგ რეაქციებს:



ვერცხლის ნიტრატი მარილის ხსნართან იძლევა უხსნად ნალექს  $AgCl$ -ს. რეაქციის დამთავრებას იგებენ წითელ-აგურისფერი ნალექით, რომელიც მიიღება თაგისუფალი  $AgNO_3$  ისა და ქრომპერლიუმის ურთიერთქმედებით.

ანალიზის მსხველელობა: წონიან 5 გრამ კარაქს 0.01 გრამი სიზუსტით, ათავსებენ გამყოფ ძაბრში 100 მლ მოცულობას, უმატებენ 50 მლ წყალს (50-55°C) ან ჯღრეგენ 1-2 წთ-ის განმავლობაში, ქვედა ფენა გადმოაქვთ 100 მლ-იან ჭიქაში. იღებენ აქედან 10 მლ-ს, უმატებენ 3 წგეთ  $K_2CrO_4$  ის ნაჯერ ხსნარს და ტიტრავენ 0.1 N  $AgNO_3$  ით წითელ აგურისფერის მიღებამდე.

1 მლ 0.1 N  $AgNO_3$ -ს შეესაბამება 0.00585 გრამი  $NaCl$ .

მარილის რაოდენობა (%) გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{K_n \cdot 0,00585 \cdot 50 \cdot 100}{10g} = \frac{K_n \cdot 2,925}{g}$$

სადაც,  $k$  –  $AgNO_3$  ის ( $0.1\text{ N}$ ) ნორმალობის კოეფიციენტია

$n$  –  $0.1\text{ N}$   $AgNO_3$  ის მლ-ების რაოდენობა, რომელიც დაიხარჯა გატიტვრაზე,

$g$  – გარაქის წონაცი, გრამი.

### მარილის ტენიანობის განსაზღვრა ნამცხვარში (печенье)

აქ მარილის განსაზღვრა ხდება იმავე მეთოდით, როგორც იყო კარაქში იმ განსხვავებით, რომ წონაცი ნამცხვრისა წინასწარ უნდა დაიწვას, ამისთვის აიღებენ დაახლოებით  $10$  გრამ ნამცხვარს, აწონილს  $0.01$  გრ სიზუსტით, ათავსებენ ფაიფურის ტიგელში და ფრთხილად წვავენ დანახშირებამდე. ჩარეცხავენ ნამწვავს ცხელი წყლით რამოდენიმეჯერ, ნარეცხს ფილტრავენ. ხსნარის საბოლოო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს  $75$  მლ-ს. კოლბას აცივებენ ოთახის ტემპერატურაზე და ტიტრავენ  $0.1\text{ N}$   $AgNO_3$ -ით ისე, როგორც ეს აღწერილი იყო მეთოდიკაში::, კარაქში მარილის შემცველობის განსაზღვრა”.

მარილის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{K_n 0,00585 \cdot 100}{g} = \frac{0,585 K_n}{g}$$

### გალეტის გაჯირჯვების კოეფიციენტის განსაზღვრა

გაჯირჯვების განსაზღვრაში იგულისხმება სხვაობა მშრალ და დასველებულ გალეტებს შორის.

ანალიზისათვის გალეტს გაყოფენ შეაზე, თითოეულ მათგანს აწონიან სიზუსტით 0.01 გრამი და ათავსებენ წყლიან ჭიქაში ოთახის ტემპერატურაზე. სანამ გიდრე ისინი არიან ძირში. 5 წთ-ის შემდეგ ორივე ნახევარს ამოიღებენ, ფილტრის ქაღალდს შეაშრობენ და წონიან:

$$P = \frac{g_1}{g_2} \cdot 100$$

სადაც  $G^1$ - არის გალეტის მასა გაჯირჯვებამდე, გრამი.

$G^2$ - კი გაჯირჯვების შემდეგ, გრამი


$P$ - არის გაჯირჯვების კოეფიციენტი (%).

## ნამცხვრის, გალეტის სიმკგრიფის განსაზღვრა

მეთოდი დამყარებულია ნაწარმის მასის ცვლილებაზე, ჰაერზე და წყალში მოთავსებისას, როცა მისი ზედაპირი დაფარულია პარაფინის თხელი ფენით.

იდებენ წონაგს, ვთქვათ ერთ გალეტს მზა ნაწარმიდან, წონიან ტექნიკურ სასწორზე სიზუსტით 0.01 გრ და იმ წამსვე ათავსებენ ფაიფურის ჭიქაში, რომელშიც ჩასხმულია გამდნარი პარაფინი. ამოიღებენ გალეტს და პარაფინის გაცივების შემდეგ მის ზედაპირზე ისეგ წონიან. იგებენ გალეტის ზედაპირზე დაფარული პარაფინის მასას. ამის შემდეგ ამავე გალეტს ათავსებენ სიგალის საკიდზე, რომელიც დამზადებულია ლატუნის მაგთულისაგან.

საკიდი, სიმკგრიფის გასაზომად  
ფქვილოფანი საკონდიტრო  
ნაწარმისათვის  
(ნამცხვარი, პრიანიკი, გალეტი)



საკიდის ერთი მხარე 1 იხსნება, მასში ჩაიდება გალეტი და ბოლტი 2-ით ხდება ამ მხარის ჩამაგრება საკიდზე. საკიდზე ამაგრებენ 3 კაუჭს და ამ საკიდით წონიან მთელ ხელსაწყოს გალუტით ტექნიკურ სასწორზე, მისი მთლიანად წყლიან ჭურჭელში ( $t=20^\circ$ ) ჩატვირთვის შემდეგ წყლიანად ანგარიშთბენ გალეტის მასასა და მოცულობას წყალში და ჰაერში.

გალეტის სიმკგრივე  $\text{g}/\text{b}\theta^3$  გამოითვლება ფორმულით:

$$D = \frac{a}{\frac{k - k_1}{d} \left( \frac{b - b_1}{d} + \frac{a_1 - a}{d_1} \right)}$$

სადაც  $a$ - გალეტის მასა ჰაერში, გ

$a_1$ - გალეტის მასაა ჰაერში, პარაფინირებულის გ.

$d$ - წყლის სიმკგრივეა  $20^\circ\text{C}$

$d_1$ - პარაფინის სიმკგრივეა (საშუალოდ  $0.9 \text{ g}/\text{b}\theta^3$ )

$b$ - საკიდის მასაა ჰაერში, გ

$b_1$ - საკიდის მასაა წყალში, გ.

$k$ - საკიდის მასაა პარაფინირებული გალეტით ჰაერში, გ.

$k_1$ - საკიდის მასაა პარაფინირებული გალეტის წყალში, გ.

ნამცხვრის სიმკვრივით შეიძლება დავახასიათოთ მისი ფორიანობით. მაგ: ჰაეროვანი ნამცხვრისათვის: ფორიანობა კარგია, როცა სიმკვრივე არა უმეტეს 0.60-ია.

საშუალოა, როცა სიმკვრივე არა უმეტეს 0.63-ია

ცუდია- როცა სიმკვრივე 0.64-ზე მაღალია.

**შემკოჭავი პეჩენისათვის:**

ფორიანობა კარგია, როცა სიმკვრივე არა უმეტეს 0.55-ია.

საშუალოა, როცა სიმკვრივე 0.58-ია.

ცუდია, როცა სიმკვრივე 0.59-ზე მაღალია.

**პრიანიგისათვის (თაფლკერა):**

ფორიანობა კარგია, როცა სიმკვრივე 0.56-ია.

ფორიანობა საშუალოა, როცა სიმკვრივე 0.62-ია.

ცუდია, როცა ფორიანობა 0.63-ზე მეტია.

## **სინესტისა და მშრალი ნიგთიერებების**

### **შემცველობის განსაზღვრა**

ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში სინესტის განსაზღვრა ხდება გამოშრობის მეთოდით. 5 გრამი საკვლევი ნიგთიერება უნდა მოთავსდეს წინასწარ აწონილ ბიუქსში, რომელსაც ათავსებენ საშრობ კარადაში  $130^{\circ}\text{C}$ -ზე. გაღეტი, პეჩენია, პრიანიკი, კექისი, ვაფლი, შრება  $130^{\circ}\text{C}$ -ზე 40 წთ-ის განმავლობაში, ტორტები- 50წთ, ხოლო ნაწარმი ჰაეროვანი ცომისაგან 2-3 სთ-ის განმავლობაში. ამის შემდეგ ხდება მათი გაცივება (თავდახურული) 30 წთ-ის განმავლობაში ექსიკატორში და აწონგა. წონათა სხვაობით იგებენ სინესტეს %-ებში და შესაბამისად ითვლიან მშრალ ნიგთიერებებს %-ებში.

### **მუავიანობის განსაზღვრა ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში**

მუავიანობა ისაზღვრება ისეთ ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში, როგორიცაა კექისი, ვალეტი, კრეპერი, მომზადებული საფუარიანი ცომისაგან.

5 გრამ წონაკს ხსნიან 50 მლ წყალში, რომელის ტემპერატურა 60-70°C-ია. ამის შემდეგ მოცულობა წყალში აყავთ 100 მლ-მდე. ხსნარს ტიტრავენ 0.1 N NaOH ით 3-4 წევთი ფენოლბტალეინის თანაობისას ღია ვარდისფერამდე.

მუაგიანობას ითვლიან ფორმულით:

$$x = \frac{100 \cdot AK}{M \cdot 10} = \frac{10AK}{M}$$

სადაც,  $A$  - 0.1 N NaOH ის მლ-ის რაოდენობაა, რომელიც დაიხარჯა გატიტვრაზე.

$M$  - წონაკის ზუსტი წონაა, გ.

$K$  - ტუტის შესტორების კოეფიციენტია.

### ტუტიანობის განსაზღვრა

### ფქვილოგან საკონდიტრო ნაწარმში

ტუტიანობას საზღვრავენ პეჩენიებში, პრიანიკებში, კეკსებში ანუ ისეთ ფქვილოგან საკონდიტრო ნაწარმში, რომელთა ცომშიც გამოყენებული იყო ქიმიური გამაფუებლები. მაღალი ტუტიანობა ნაწარმს ანიჭებს მლაშე-მწარე გემთს, აუარესებს საჭმლის მონელებას, ამიტომ ტუტიანობა ფქვილოგან საკონდიტრო ნაწარმში არ უნდა აღემატებოდეს 2°-ს.

ტუტიანობის განსაზღვრისათვის პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას აწილადებენ, აქედან იღებენ წონაკს 25 გრამის რაოდენობით, წონიან, ათავსებენ 500 ლ მოცულობის კონუსურ კოლბაში, უმატებენ 250 მლ დისტილირებულ წყალს ოთახის ტემპერატურაზე, ახურავენ თავსახურს და აყოვნებენ 30წთ-ის განმავლობაში, პერიოდულად ანჯლრევენ. ამის შემდეგ მას ფილტრავენ მარილით, ბამბის ან ფილტრის ქაღალდით. იღებენ 50 მლ ფილტრატს და უმატებენ მას 2-3 წევთ 1%-იან ბრომთიმოლის ლურჯის ხსნარს და ტიტრავენ 0.1 N HCl- ით ან H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>- ით ყვითელი ფერის წარმოქმნამდე.

$$x = \frac{4.250 \cdot 100 \cdot K}{25 \cdot 10.50} = 2AK$$

სადაც,  $A$ -არის  $0.1 \text{ N}$   $HCl$ -ის მლ-ების რაოდენობა, დახარჯული გატიტვრაზე.

$\lambda$ -შესწორების კოეფიციენტი (მუდმივი ტიტრის)

## VI თავი. მაკარონის წარმოება

მაკარონის წარმოების ძირითადი უბნები, სადაც ხდება კონტროლი

კონტროლის ობიექტი	კონტროლის სისტემა	კონტროლის სახეები
ნედლეულის მიღება	ფქვილი	ყოველი პარტია ორგანოლებტ.
ცომის მომზადება	ბერიოდული რეჟიმის უწყვეტი წარმოებისას	მაჩვენებლები, წებოგვარას რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრა, სინესტის ან მშრალი ნივთიერებების განსაზღვრა, მუდმივი მარტინის განსაზღვრა.
ბერიოდული რეჟიმის უწყვეტი წარმოებისას	ყოველი პარტია ცვლაში რამოდენიმეჯერ	ორგანოლებტიკური მაჩვენებლები, ცომის სინესტე, მუდმივი მარტინის

ფორმირება, დაყოფა	--,,--	ფორმა, ორგანოლებტიკური მაჩვენებლები, სინესტე.
შრობა	ცვლაში რამოდენიმეჯერ	ორგან. მაჩვ. მშრალი ნივთიერებ. შემცველობა.
მზა პროდუქცია	ცვლაში რამოდენიმეჯერ	ორგანოლებტიკური მაჩვენებლები, მშრალი ნივთიერებების შემცველობა, მუავიანობა, მისი თვისებები ხარშვისას, სიმტკიცე, მშრალი ნივთიერებების დანაკარგი ხარშვისას, ნაფხვენების, დეფორმირებული ნაწარმის შემცველობა.

## მაკარონის ნაწარმის ორგანოლებტიკური შეფასება

მზა მაკარონის სახეობები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:  
გემო და სუნი — არა მომწარო, არა მომუაფო, თბის სუნის გარეშე, გემო და სუნი ისინჯება როგორც მზა ნაწარმისა, ასევე ხარშვის შემდეგაც.

ფერი — ერთგვაროვანი, ფქვილის ფერის შესაბამისი მაღალხარისხოვანი ნაწარმისათვის დამახასიათებულია მოყვითალო ფერი.

გადანატენი — მინისებური

ზედაპირის მდგომარეობა — სასურველია პქონდეს გლუვი ზედაპირი, თუმცა სტანდარტით მიღებულია პქონდეს ხაოიანი ზედაპირიც, ასეთი ნაწარმი ხარშვისას იძლევა მუქი ფერის წყალს.

ფორმის მდგომარეობა — ფორმა სწორი, დასაშვებია უმნიშვნელო მოხრილობა ან გადაურეხვა.

## სინჯის მომზადება ფიზიკო-ქიმიური ანალიზისათვის

50 გრამი მაკარონის ნაწარმს ფქვავენ ლაბორატორიულ წისქვილში, ვიდრე თავისუფლად არ გაიცრება მეტალურ საცერში დიამეტრით 1 მმ. საიდანაც იღებენ საანალიზოდ სინესტისათვის (ნაწილს), დანარჩენს კი ცრიან აბრეშუმის საცერზე №27. აქედან იღებენ დანარჩენ სინჯს საანალიზოდ.

### სინესტის განსაზღვრა

მაკარონის სინესტე არა უმეტეს 13% უნდა იყოს, სპეცდანიშულების მაკარონის სინესტე კი 11%. (ექსპერიციისათვის პრაქტიკაში და სხვა), რაც უზრუნველყოფს მის გრძელებადიან შენახვის ფადას (1წელი). სინესტის მაღალი მაჩვენებლების დროს ხდება ბაქტერიალური ფლორის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, რასაც მიზყაფართ ნაწარმის გაფუჭებამდე (შემუშავება,, დაობება და სხვა). სტანდარტით მაკარონის

სინესტე ხდება მისი გამოშრობით (5 გრამი წონაკის შრობა  $130^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 40 წთ-ის განმავლობაში. ორი პარალელურად ჩატარებული ცდებისას სხვაობა უნდა იყოს არა უმეტეს 0.25%, სინესტეს ითვლიან 0.1% სიზუსტით.

### მაკარონის მჟავიანობის განსაზღვრა

მაკარონის სიმჟავე — პიპკი ფქვილისაგან (ექსტრა ფქვილი) არ უნდა აღემატებოდეს 3.5% ხოლო უმაღლესი და 1 ხარისხის ფქვილისაგან - 4 %. უფრო მაღალი მჟავიანობის მაკარონის გემოვნებითი თვისებები უარესდება. მჟავიანობა გამოითვლება ისევე, როგორც ფქვილისა, ნჯლრევა მაკარონის სინჯისა (წინასწარ მომზადებული ანალიზისათვის) ხდება 3 წთ-ის განმავლობაში. მჟავიანობა

გამოითვლება გრადუსებში 0.1° სიზუსტით. ორ პარალელურ ანალიზს შორის შედეგების მაჩვენებლების სხვაობა უნდა იყოს არა უმეტეს 0.5°.

მაკარონის ნაწილების უფრო დიდი ხარისხით დაფქვისას იზრდება ექსტრაგირებული მუაგების რაოდენობა წყალში, ამიტომ ამ ანალიზის ჩატარებისას ზუსტად უნდა დავიცვათ საანალიზოდ ნიმუშის მომზადების მეთოდი.

## მაკარონის თვისებების შეფასება ხარშვისას

მაკარონის ხარშვისას მისი ძირითადი მაჩვენებლებია: ხარშვის შემდეგ მაკარონის გაჯირჯვების ხარისხი, ხარშვის დრო და მშრალი ნივთიერებების დანაკარგი.

მოხარშული ნაწარმი უნდა იყოს ელასტიური. არ ეწებებოდეს ერთმანეთს, არ გადაიხსნას, არ წარმოიქმნას კოშტები. წინააღმდეგ შემთხვევაში მაკარონი ძნელი ასათვისებელია, რამეთუ ხდებიან გაუმტარი საჭმლის მომნელებელი წვენებისათვის.

მაკარონის გაჯირჯვების ხარისხი იზომება მათი მოცულობით ხარშვისას, როგორც სტანდარტით უნდა იყოს 2-ჯერ მეტი გიდრე მოუხარშავი იგივე მაკარონი.

მზომ ცილინდრში, მოცულობით 500 მლ, რომელიც არის წყლით ავსებული (ოთახის ტემპერატურაზე) ჩაუშვებენ 50 გრ მშრალ ნაწარმს, ჰაერის ბუშტულების გაქრობის მიზნით ცილინდრს ანჯლრევენ. წყლის მომატებით იგებენ აღებული ნაწარმის მოცულობას. ამის შემდეგ წყალს გადაღვრიან, ნაწარმი გადააქვთ ქვაბში მდუღარე წყლით (600მლ), სადაც ხარშავენ მზადყოფნამდე, დრო დაცული უნდა იყოს სტანდარტით, (იხ. გაგრძელებაში ქვემოთ); ხარშვის დამთავრებისას ნაწარმი გადააქვთ საცერზე და მას შემდეგ როცა დაიწურება წყალი, მათ ისევ ათავსებენ იმავე მზომ ცილინდრში, რომელშიც ასხამენ წყალს, გიდრე ნაწარმი არ დაიფარება. წყლის დონის აწევით საზღვრავენ მოხარშული მაკარონის მოცულობას. თუ საწყისი რაოდენობა წყლისა ცილინდრში არის  $V_0$  მლ, მშრალი (უმი) მაკარონის ჩატვირთვისას წყლის დონე აიწია  $V$  მლ მდე, მაშინ მაკარონის მოცულობა ხარშვამდე ყოფილა:

$$V_2 = V_1 - V_0 \quad \text{მღ}$$

ამავე დროს თუ წყლის დონე მოხარული მაკარონის ჩატვირთვის შემდეგ გახდა 1/3, მაშინ მაკარონის მოცულობა ხარშვის შემდეგ იქნება:

$$V_4 = V_3 - V_0 \quad \text{მღ},$$

ხოლო მაკარონის მოცულობის გაზრდის კოეფიციენტი:

$$K = \frac{V_4}{V_2}$$

მაკარონის ხარშვის დრო სტანდარტით არის:

მაკარონისათვის – დიამეტრით 5.5 მმ-დან 20წ.

მაკარონისათვის – დიამეტრით 5,5მმ-მდე 15 წ.

გერმიშელისათვის - დიამეტრით 1.2მმ-დან არაუმეტს 15წ.

ლაფშა - დიამეტრით 1.2მმ-დან არაუმეტს 15წ

ფიგურული ნაწარმი - დიამეტრით 1.2მმ-დან არაუმეტს 15წ

გერმიშელისათვის დიამეტრია 1,2 მმ-მდე 10წ.

მაკარონის ხარშვისას წყალი მუქდება, რაც გამოწვეულია მშრალი ნივთიერებების გადასვლით მასში.

მშრალი ნივთიერებების რაოდენობის განსაზღვრისათვის იღებენ 50 გრამ მაკარონის ნაწარმს, ხარშავენ ქვაბში, სადაც დუღს წინასწარ ჩასხმული 600 მლ წყალი და ხარშავენ მზადყოფნამდე. ამის შემდეგ წყალს გადაწურავენ ქვაბიდან (დუშლანგით), აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე, ათავსებენ 500 მლ მოცულობის კოლბაში, ქვაბს ჩარეცხავენ მცირე ულუფებით, ნარეცხს უმატებენ კოლბაში არსებულ ნახარშს. მიყავთ ნიშნულამდე კოლბაში ნახარში. პიპეტით ამ კოლბიდან იღებენ 50 მლ ექსტრაქტს, ათავსებენ წინასწარ გამოშრალ და აწონილ ფაიფურის ჯამზე (აწონვა ხდება 0.001 სიზუსტით), გადააქვთ საშრობ კარადაში 100-105°C, სადაც ნალექს აშრობენ 100-105°C ზუსტად 1 სთ. ჯამების გაცივების შემდეგ ისევ წონიან. ორი პარალელური ცდიდან იღებენ წონათა სხვაობების საშუალო არითმეტიკულს.

თუ ჯამის მასა მშრალი ნივთიერებებით არის –  $m_1$  გრ ,

მასა ცარიელი ჯამისა არის  $m_2$  გრ

მაშინ  $m = (m_1 - m_2)$  გრ არის მშრალი ნიგოერებების რაოდენობა.

მაკარონის რაოდენობა (გრამი), რომელიც შეესაბამება 50 მლ ხსნარს — არის 5, მაშინ მაკარონის მშრალი ნიგოერებების რაოდენობა, რომელიც გადადის სახარშ წყალში იქნება

$$\frac{m \cdot 100}{5} \%$$

### მაკარონის სიმტკიცის განსაზღვრა

მაკარონის მექანიკურ სიმტკიცე განაპირობებს მისი ტრანსპორტირებას. სიმტკიცის განსაზღვრა ხდება სპეციალურ ხელსაწყოზე, რომელიც ემყარება მაკარონის (ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადებულ ორ ღარს შორის, რომელთა შორის მანძილი 150 მმ-ია) სტატიკურ დატვირთვას მანამ, ვიდრე იგი არ გატყდება.


სიმტკიცე გამოისახება გრ-ებში და დამოკიდებულია ფქვილის ხარისხზე, მაკარონის მიღავების დიამეტრზე, კედლების სისქეზე, ცომის მომზადების ტექნოლოგიურ პირობებზე და სხვა.

ძირითად სიმტკიცეს ზომავენ სტროგანოვის ხელსაწყოთი.

*სტროგანოვის ხელსაწყო*

*მაცარონის*

*სიმტკიცის განსაზღვრისათვის*



მაკარონის ნიმუშს ათაგსებენ 7-დღარის ლარებში, 9-სახელურის მოძრაობით მექანიზმი—2 აწვება მაკარონს მანამ, გიდრე იგი არ გადატყვდება, რაც აისახება სასწორის ციფერბლატზე, რომელიც გვიჩვენებს მაკარონის დატვირთვას მისი გადატეხვისას. ატარებენ ცდას და იღებენ საშუალო არითმეტიკულს. სიზუსტით 10გრ.

სტანდარტით მაკარონის სიმტკიცე გრამებში (გრ) მისი დატვირთვისას უნდა იყოს არანაკლები გიდრე შემდგომ მონაცემებშია:

მაკარონის დიამეტრი მმ	მაკარონის სიმტკიცე, გ.	
	უმაღლესი / ნ	პირველი / ნ
7 მმ და მეტი	750	800
6.5-6.9	650	700
6.0-6.4	550	550
5.5-5.9	400	400
5.0-5.4	300	300
4.5-4.9	250	250
4.0-4.4	200	200

**ნატეხების, ნაფხვენებისა და დეფორმირებული  
ნაწარმის რაოდენობის განსაზღვრა**

ნატეხები უარყოფით გავლენას ახდენს მაკარონის გარეგნულ სახეზე. პატარა ნატეხები, რომლის ზომა სტანდარტულის  $1/3$ -ია, იფშვნება ნაფხვენად. ნატეხი და ნაფხვენი მაჩვენებელია მაკარონის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დარღვევისა ან ნედლეულის არადამაკმაყოფილებელი ხარისხისა. დეფორმირებულია ნაწარმი, რომელსაც დარღვეული აქვს ფორმა: ღრუს გარეშე, ძალიან ირიბი და სხვა.

ნატეხების, ნაფხვენებისა და დეფორმირებული ნაწარმის განსაზღვრისათვის იღებენ საანალიზოდ ერთ ყუთს. ფრთხილად გადმოიტანენ მაგიდაზე, გადაარჩევენ და მასათა სხვაობით იგებენ მათ შემცველობას %-%ი, რომელთა დასაშვები ზღვრები მოცემულია ცხრილში:

ნაწარმი	%-%ული შემცველობა მასასთან შედარებით		
	ნატეხი	ნაფხვენი	დეფორმირებული
დაფასოებული მაკარონი	3-5	1-2	1.5-2
სხვა სახეობა	3-5	2-5	5
წონითი მაკარონი	6-10	2	2-5
სხვა სახეობა	6-10	3-10	7-10

მაკარონის ნაწარმში შეიძება შემჩნეული იყოს მეტალო მინარევები, რომელთა შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მგ-ს. ერთ კგ-მზე, მათი სიდიდე კი 0.3 მმ-ს. თუ ეს მეტალომინარევები არის ნემსისებური ან ფირფიტისებური ფორმის, მაშინ მაკარონი რეალიზაციას არ ექვემდებარება.

## VII თავი. პურის ნაწარმის ტექნოლოგია

ძირითადი უბნები პურის წარმოებისა, სადაც ხდება კონტროლი


გონტროლის ობიექტი	გონტ.სისშირე	გონტროლის სახეები
1	2	3
<p>ნედლეული, რომელიც შემთვდის წარმოებაში:</p> <p>ხორბლის ფქვილი</p>	<p>ყოველი პარტია</p> <p>40°C-ტემპ.</p> <p>ზემოთ</p>	<p>ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, წებოგვარას ხარისხი, და სინესტე.</p> <p>კარტოფილის დაავადება.</p>
<p>ჭვავის ფქვილი</p>	<p>ყოველი პარტია</p>	<p>ორგ. მაჩვენებლები, აგტოლიტური აქტივობა და სინესტე.</p>
<p>საფუარი</p>	<p>ყოველი პარტია</p>	<p>ორგანული მაჩვენებლები, სინესტე, ამწევი ძალა, მაღტოზური აქტივობა.</p>
<p>ცომსაზელი განყოფილება:</p>		
<p>აფარი</p>	<p>ყოველი პარტია</p>	<p>ორგ.მაჩვენებლები, სინესტე, ტემპერატურა, სიმჟავე, ამწევი ძალა.</p>
<p>ცომი</p>	<p>ყოველი პარტია</p>	<p>ორგ.მაჩვენებლები, სინესტე, ტემპერატურა, სიმჟავე, ამწევი ძალა.</p>
<p>მზა ნაწარმი</p>	<p>ყოველი პარტია</p>	<p>ორგანოლეპტიკური მაჩვენებელი, სინესტე, გულის ტემპერატურა H/Dსიდიდე, ფორიანობა.</p>

ფქვილის აირწარმოქმნის უნარის განსაზღვრა

